ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 92
(11 549)

23 – 26 ნოემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ვაკის საცურაო აუზის საკითხს სასამართლოში გადაიტანენ

ვაკის დახურული საცურაო აუზის უმოქმედობასთან დაკავშირებით „ლელოს" ბოლო ნომრებში გამოქვეყნებულმა წერილებმა, ვინც ამ სპორტული ბაზის კვლავ ხალხის სამსახურში ჩაყენების ლოდინით დაიღალა, იმედი ჩაუსახა, რომ საქმის სასიკეთოდ შემობრუნება ჯერ კიდევ შეიძლება. „ყოველდღე შუჰყურებდე მკვდარ ნაგებობას, ამაზე მეტი ცინიზმი მართლა რა იქნება. როგორ მოხდა, რომ ადამიანებმა, ვინც აუზი შეისყიდეს, ფეხქვეშ გათელეს ჩვენი ინტერესები. ისიც არ იკმარეს, რომ თავიანთ საცხოვრებლად მოიწყვეს ბაზის სასტუმროს ნაგებობა. თქვენგან შევიტყვეთ, რომ ახლა, თურმე აუზის შენობის გაყიდვა და ბიზნესის გაკეთება გადაუწყვეტიათ. საიდან, ვისი იმედით და მხარდაჭერით ასეთი თავგასულობა. განა მსგავსი სპორტული ბაზები თავზე საყრელი გვაქვს? ეს ხომ ერთადერთია. გვიგულეთ თქვენს გვერდით, თუ საჭიროდ ჩათვლით, ერთიანი ბრძოლისთვის დავირაზმოთ" – გვწერენ აუზის მახლობლად მცხოვრებნი.

თქვენ რას აპირებთ? შევეკითხეთ სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციას. „ლოდინით ჩვენც დავიღალეთ, ისღა დაგვრჩენია საქმე სასამართლოში აღვძრათ – გვიპასუხეს ფედერაციაში.

## ისრაელის ქართველმა ებრაელობამ, ჩვენთან ერთად დაიტირა ამქვეყნიდან დავით ყიფიანის უდროოდ წასვლა. „ლელოს" დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ვრცელ წერილს, რომელიც ამ ლეგენდარულ ფეხბურთელზე დაიბეჭდა ისრაელის რუსულენოვან გაზეთ „სპორტ გლობუსში".



7

## ბესიკ ლიპარტელიანმა თავისი გუნდი შეკრიბა

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში გამართულ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ყრილობაზე ფედერაციის პრეზიდენტად ბესიკ ლიპარტელიანი აირჩიეს. მასვე ყრილობამ დაავალა უახლოეს დროში დაეკომპლექტებინა ხელმძღვანელი ბირთვი. და აი, გუშინ საღამოს ცნობილი გახდა ფედერაციის გენერალური მდივანი. ესაა წარსულში ცნობილი კალათბურთელი პაატა გურასპაული, ვიცე-პრეზიდენტი გახდა მამუკა კაციტაძე, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტიდანაა, ვიცე-პრეზიდენტის მეორე თანამდებობა კვლავ შეინარჩუნა დუდუ დადიანმა.



## როგორ ავიწროებდნენ ქართველ ალპინისტებს და როგორ კნინდებოდა მათი ღვაწლი. „ლელო" დღეს ამთავრებს ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეების აქამდე გამოუქვეყნებელი წერილების პუბლიკაციას.



3



## ამ ბიჭზე ყველაფერი ალალია!

2

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### რუსეთის ოლიმპიური კომიტეტი ზამთრის ოლიმპიადისთვის სპონსორებიდან 4 მილიონ დოლარს მოიზიდავს

ამის თაობაზე გუშინ საღამოს განაცხადა რუსეთის ეოკ-ის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა „ვნეშეკონომბანკსა" და ოლიმპიურ კომიტეტს შორის შეთანხმებაზე ხელმოწერის ცერემონიალზე. ტიაგაჩევის თქმით, ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის რუსეთის ნაკრებს ესაჭიროება 2 მილიონამდე დოლარი, მოსამზადებლად კი 10 მილიონი. ამ თანხიდან 4 მილიონს, რუსეთელ ოლიმპიელებს, სპონსორები შეაწევენ.

## UEFA CUP
## უეფას თასი

სერვეტი (შვეიცარია) – ჰერტა (გერმანია) 0-0

კოპენჰაგენი (დანია) – დორტმუნდი (გერმანია) 0-1

პაოკი (საბერძნეთი) – პსვ (ჰოლანდია) 3-2

პარმა (იტალია) – ბრონდბიუ (დანია) 1-1

ლიბერეცი (ჩეხეთი) – მალიორკა (ესპანეთი) 3-1

ბრი[illegible]გე (ბელგია) – ლიონი (საფრანგეთი) 4-1

### შვეიცარიის ბანკმა ხელი მოაწერა ფიფასთან

ფიფამ ხელი მოაწერა შეთანხმებას 420 მილიონი დოლარი კრედიტის მიღების თაობაზე. ამ თანხას ფიფა გამოიყენებს 2002 და 2006 წლების მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარების ხარჯების დასაფარავად. ბანკმა სიხარულით აუწყა მსოფლიოს ამ შეთანხმების შესახებ.

### დევიდ კულტჰარდი შარში გაეხვია

ამის მიზეზი გახდა ის, რომ „ფორმულა-1"-ის პილოტმა თავისი ავტომობილი ათხოვა მეგობარს, რომელიც ცხოვრობს ესპანეთში და გზად მიმავალი პოლიციამ გააჩერა. წესრიგის დამცველებმა ავტომანქანა დააპატიმრეს, ვინაიდან მძღოლს შესაბამისი საბუთები არ გააჩნდა. ახლა იმისთვის, რომ კულტჰარდი და მისი საკუთარი ავტომანქანა კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, ცნობილ მრბოლს სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. თანაც გაირკვა, რომ ეს არ ყოფილა პირველი შემთხვევა, როცა კულტჰარდი თავის მანქანას სხვებს ანდობს. გასულ კვირას მას თავის ბმვ-ში რაღაც ხმაური შეუნიშნავს და მეგობრისთვის მიუცია გასასინჯად. ისიც ამდგარა და... ფართო მანქანით სოფლისკენ გაუწევია.



## UEFA CHAMPIONS LEAGUE
## ჩემპიონთა ლიგა
## მეორე ჯგუფური ეტაპი (I ტური)



ბაიერნი – მანჩესტერი



ლივერპული – ბარსელონა



პანათინაიკოსი – პორტუ

## UEFA CUP
## უეფას თასი

ჰაპოელი – ლოკომოტივი

6



23 – 26 ნოემბერი, 2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 9 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 77 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

## მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!



## ოლიმპიური ცეცხლი ათენშია

მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ცეცხლის ანთება ოლიმპიაში ღრუბლიანმა და წვიმიანმა ამინდმა შეაფერხა, სარეზერვო წმინდა ალით ჩირაღდანი მაინც აანთეს. ახლა ჩირაღდანი ოლიმპიური ცეცხლით ათენშია, საიდანაც სამ დეკემბერს გეზს აიღებს ატლანტისკენ, შემდეგ ჩაიტანენ სოლტ-ლეიკ-სიტიში, სადაც 8 თებერვალს ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიხსნება.

## მილოცვა

***გმადლობთ, „ოქროს" ჭაბუკო!***

„შენი ოქროს კილოგრამებით, კიდევ ერთხელ შეახსენე მსოფლიოს, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც გამორჩეული ადამიანები ცხოვრობენ". საქართველოს პრეზიდენტის ამ სიტყვების მერე, აბა, რაღა გითხრა, როგორ მოგილოცო ევროპის შემდეგ უკვე მსოფლიო მასშტაბის „ოქროს წარმატება", ჩემო გიორგი!

ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა ყველა ასეთი ადამიანი, მაგრამ მაპატიონ მიკერძოება და, ორმაგი ბედნიერებაა, თუ იგი დიდი აკაკის მშობლიური კუთხის წარმომადგენელია.

ასაკთან ერთად ჩვენი მეგობრული, მამაშვილური ურთიერთობა, ისევე როგორც ყველა შენს საჩხერელ გულშემატკივარს, მეც მაძლევს უფლებას ვიამაყო, რომ ამ წარმატებაში ჩემი პაწაწინა წვლილიც არის. ოღონდ, გვინდა იცოდე, ჩვენ არც ამ წვლილს და არც ამ წარმატებას არამც და არამც არ დავკჯერდებით.

ოქრო გვინდა! ოლიმპიური ოქრო! და რახან დარწმუნებულნი ვართ შენს შემართებაში, ამ ჯილდოთი საქართველოს გაბრწყინებასაც წინასწარ გილოცავთ, „ოქროს ჭაბუკო!

უღრმესი პატივისცემით:

**ცეზარ ლაშხი,**
**საჩხერის რაიონის გამგებელი.**

# ამ ბიჭზე ყველაფერი ალალია!

... მას ადრევე შეეძლო საქართველოდან წასვლა — როცა პერსპექტიული ძალოსანი ჭაბუკთა შორის თავის წონაში ყველას ამარცხებდა; მაშინაც შეეძლო აქაური გაუსაძლისი სავარჯიშო თუ საყოფაცხოვრებო პირობები ბევრად უკეთესზე გაეცვალა, როცა პირველი დიდი წარმატება მოიპოვა;

მაშინაც შეეძლო აქედან წასვლა, როცა სიდნეის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედალს დასჯერდა — არადა, თუ ვინმესგან ველოდით ნანატრ ოლიმპიურ ოქროს, სწორედ მისგან.

ის არსად წასულა და არც მომავალში აპირებს უცხო ქვეყნის სახელით გამოსვლას — გიორგი ასანიძე ქართველი იყო, არის და ქართველად აპირებს დარჩენას! ეს ის გიორგი ასანიძეა, სულ ცოტა ხნის წინ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში მეორე ქართველი მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა (მოკრივე გიორგი კანდელაკის შემდეგ)!

კი, შეიძლება ვინმემ თქვას კიდეც, რომ ასანიძესგან მსოფლიო ჩემპიონობა მოულოდნელობა არ ყოფილაო — უკვე რამდენი წელია, რაც ეს უნიჭიერესი ძალოსანი თავის წონაში ნებისმიერი რანგის ასპარეზობაზე უპირობო ფავორიტია. აი, წელსაც ხომ დამაჯერებლად გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატზე, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, მსოფლიოში პირველობას სულ სხვა ელფერი აქვს. და გიორგიმ შეძლო ანთალიაში ის, რასაც ამდენი ხანი ველოდით — მრავალრიცხოვან ტიტულებს მსოფლიო ჩემპიონობა მიუმატა და გვჯერა, რომ ოლიმპიური ოქრო იქნება სწორედ დამაგვირგვინებელი აკორდი. თანაც, გიორგიმ იცის, რომ მის შრომას (ტალანტი ტალანტად და, მუხლჩაუხრელი ვარჯიშის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა) აქ, თავის სამშობლოში შესაბამისი დაფასება აქვს. ყველაზე სასიხარულო კი ის გახლავთ, რომ გიორგი ასანიძის ნიჭისა და შრომის უპირველესი დამფასებელი კერძო ქართული კომპანიაა — „იბერკომპანი-ჰოლდინგი", რომლის პრეზიდენტმა გოჩა ენუქიძემ და კომერციულმა დირექტორმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა ის უდიდესი ნაბიჯი გადადგეს, რასაც თუგინდ ქართული სპორტის გვერდში დგომას დავარქმევთ, თუგინდ — ქველმოქმედებასა და თუგინდ — მეცენატობას. დიახ, სწორედ „იბერკომპანი-ჰოლდინგი" იყო ის „პირველი მერცხალი", რომელმაც საქართველოს ბოლო წლების ნომერ პირველ სპორტსმენზე შეფობა აიღო და თავის დაპირებებს პირნათლად ასრულებს. შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში „იბერკომპანი-ჰოლდინგმა" გიორგი ასანიძეს ათენის ოლიმპიადამდე ყოველთვიური სტიპენდია (300 ლარის ოდენობით) დაუნიშნა და ამასაც არ დასჯერდა — მისი პირადი ავტომობილის საწვავით უზრუნველყოფაც თავის თავზე აიღო! კარგად გვახსოვს მაშინ გოჩა ენუქიძისა და ტარიელ ხეჩიკაშვილის სიტყვები — გიორგის ყოველი ახალი წარმატება სათანადოდ აღინიშნებაო. სულ მალე „იბერკომპანი-ჰოლდინგის" ახალგაზრდა მესვეურებს სიტყვის შესრულებაც „მოუწიათ" — ასანიძემ ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა და თბილისში დაბრუნებულს სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა 1000 ამერიკული დოლარის სახით!

თუმცა, მთავარი ჯერ წინ იყო — „იბერკომპანი-ჰოლდინგის" ხელმძღვანელობამ მსოფლიო ჩემპიონს გიორგი ასანიძეს ავტომობილი ბმვ-525 გადასცა! სანამ „იბერკომპანი-ჰოლდინგის" პრეზიდენტი გოჩა ენუქიძე ჩვენს სასიქადულო სპორტსმენს მანქანის გასაღებს გადასცემდა, გიორგი ასანიძეს ეს დიდი წარმატება მიულოცეს და მომავალი გამარჯვებები უსურვეს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა, საქართველოს საუკუნის საუკეთესო სპორტსმენმა ქალმა ნონა გაფრინდაშვილმა, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა და მისმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმა, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა. გიორგის კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდა იმ საღამოს, ამჯერად უკვე „იბერკომპანი-ჰოლდინგის" შვილობილი ფირმის — „იბერმობილისაგან", რომლის პრეზიდენტიც ტარიელ ხეჩიკაშვილი გახლავთ, სპორტის დიდი ტრფიალი და მოამაგე ახლგაზრდა კაცი (სხვათაშორის, „იბერმობილი" გახლავთ მსოფლიოში უდიდესი ნავთობკომპანიის „ექსონ-მობილის" უფლებამოსილი დისტრიბუტორი საქართველოში). ჰოდა, სწორედ „იბერმობილმა" აიღო ვალდებულება, რომ სამი წლის მანძილზე უფასო სერვის-მომსახურება გაუწიოს გიორგი ასანიძის ახალ მანქანას! მოკლედ, ეს ის შემთხვევა გახლდათ, ორი ახალგაზრდა ბიზნესმენი ერთმანეთს რომ „ეჯიბრებოდა" ბევრისათვის მისაბაძი კეთილი საქმის კეთებაში...




*მარცხნიდან: გოჩა ენუქიძე, გიორგი ასანიძე და ტარიელ ხეჩიკაშვილი*

... თავად გიორგი კი, ჩვეული თავმდაბლობითა და უბრალოებით, მადლობას იხდიდა თავისი შრომის ასეთი დაფასებისათვის და ყველას გვაიმედებდა, რომ მომავალშიც გაგვახარებდა ახალ-ახალი წარმატებებით. ჩვენც ყველას გვჯერა, რომ ათენში გიორგი ასანიძე თავის სანუკვარ ოცნებას აისრულებს და აი, ამის შემდეგ კი, ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ადეკვატური ნაბიჯი „მოჰყვება" ამას „იბერკომპანისა" და „იბერმობილის" მხრიდან...

**გია ტუხაშვილი,**
*ა. კოტორაშვილის ფოტო*

**სიახლე**

## სახელმწიფო უნივერსიტეტში სპორტული ჟურნალისტიკის სახელოსნო გაიხსნა

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მედიალოგიის, კომუნიკაციისა და საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათედრაზე (ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე ნუგზარ ფოფხაძე) კიდევ ერთი სიახლე დაინერგა – შეიქმნა სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლების სახელოსნოები. ჩვენთვის, ლელოელებისთვის დიდი პატივია, რომ ერთი მათგანი იქნება „თენგიზ გაჩეჩილაძის სპორტული ჟურნალისტიკის სახელოსნო". პროფილის მიხედვით სხვა სახელოსნოებს გაუძღვებიან ნატო ონიანი, მარინე ვაშაყმაძე, თამილა ნიპარიშვილი, სოსო ცინცაძე, თამაზ ტყემალაძე, პაატა ნაცვლიშვილი, ლაშა ნადარეიშვილი და ირაკლი თოდუა.

გუშინწინ გაიმართა სახელოსნოებისა და კათედრის ხელმძღვანელთა შეხვედრა, სადაც დაზუსტდა კონკრეტული საკითხები. სახელოსნოები მუშაობას მომავალი კვირიდან შეუდგებიან.

## დოსააფის გაუქმება კონსტიტუციურმა სასამართლომ უკანონოდ სცნო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მოქალაქეთა ერთი ჯგუფის სარჩელზე, „მოქალაქეები საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, დოსააფის გაუქმებისა და მისი საზოგადოებრივი ქონების უკანონოდ გასხვისების თაობაზე", ბესარიონ ზოიძის თავმჯდომარეობით, ამ ორი კვირის წინათ განიხილა განმწესრიგებელ სხდომაზე. გუშინ, სასამართლომ პირველი განაჩენი გამოაცხადა, რითაც უკანონოდ სცნო დოსააფის გაუქმება და მისი ქონების გასხვისება.

გამოცხადდა, რომ სასამართლო 4 დეკემბერს განახლდება, რომელზედაც მოიწვევენ მინისტრთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს თენგიზ სიგუას, რომლის განკარგულებითაც მოხდა დოსააფის გაუქმება და ქონების უკანონო განკარგვა, აგრეთვე ექსპერტებს.

გამოიწერეთ ლელო 2002 წლისათვის

## დრაკონმა სახელი გაითქვა

ჩვენში ბევრია სპორტული ოჯახი. ერთი მათგანია ისან-სამგორის რაიონში (III მასივი) მცხოვრები აბულაშვილების ოჯახი, რომელსაც საკუთარი სპორტული დარბაზიც გააჩნია. ამ დარბაზში 18 წელიწადია თავადაც ვარჯიშობს და სხვებსაც ამეცადინებს „უშუ გუნგ ფუს თავისუფალი ბრძოლების" მესამე დანის მფლობელი ვაჟა აბულაშვილი. მამა – ვასილ აბულაშვილი კი იმავე მასივში „ედელვაისის" სპორტულ ბაზაზე ფეხბურთელთა გუნდს წვრთნის.

ვაჟა აბულაშვილის მიერ შექმნილი სპორტკლუბი „დრაკონი", ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაცაა ცნობილი. ბაქოში, კავკასიის თასის გათამაშებაში ჯერ გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს, შემდეგ კი ბორჯომში გამართულ კავკასიის ჩემპიონატში იასპარეზეს წარმატებით „დრაკონის" წარმომადგენლებმა. ბაქოში, აღმოსავლურ ორთაბრძოლებში „უშუში, „ნუნგ გარში", კუნგ ფუში" „თავისუფალ ბრძოლებში" პირველი ადგილები დაიკავეს ვასილ ტაბატაძემ (65 კგ), ირაკლი ბართავამ (55), გოჩა მელქაძემ (45), ლაშა ნიკოლაშვილმა (30), ფოლად მამედოვმა (60); გოგონებიდან – ირინა ტალახაძემ (55); მეორე პრიზიორები გახდნენ ირაკლი ალავერდაშვილი (60) და მიხეილ ტალახაძე (35), მესამე იყო ვალერი ჭანტურია (45); ინსტრუქტორთა შორის უძლიერესი იყო „დრაკონის" მწვრთნელი ვაჟა აბულაშვილი, რომელსაც სპეციალური დიპლომი გადაეცა.

ბორჯომში „დრაკონიდან" კავკასიის ჩემპიონობა მოიპოვეს: ლაშა ნიკოლაშვილმა, გია ბაიაძემ, გრიგოლ სარქისიანმა, მალხაზ ბართავამ და ირაკლი ბართავამ. მეორე ადგილი წილად ხვდათ: გია ტევოიანს და ვასილ ტაბატაძეს, მესამე იყო ბაჩუკი ბლუაშვილი. საუკეთესო ტექნიკისთვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა უჩა გულიაშვილმა.

*სურათზე I რიგში (მარცხნიდან):* უჩა გულიაშვილი, ლევან ჯანიაშვილი, ზავენ მაზმანიანი, გრიგოლ სარქისიანი, გია ტევოიანი; II რიგში: გიორგი გრივი, გიორგი ბაიაძე, ლაშა ნიკოლაშვილი, ირაკლი გრივი; III რიგში: ვასილ ტაბატაძე, გიგა სიხარულიძე, არჩილ თაყნიაშვილი, ბაჩანა ბლუაშვილი, ირაკლი ბართავა, ირაკლი ალავერდაშვილი, გოჩა მელქაძე, ვაჟა აბულაშვილი (მწვრთნელ-ინსტრუქტორი).

*რობერტ ბაგოიანის ფოტო*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# იმპერიული უზნეობის მაგალითები

## რაც ადრე არ ითქმოდა



სხვა მაგალითი. 1936 წელს, ხანთენგრიზე, ე.აბალაკოვს ავად გაუხდა ამხ.გუტმანი, დაიღუპა სალადინი, მოიყინეს მისი ღვიძლი ძმა, აგრეთვე, სპორტის დამსახურებული ოსტატი. ამხ. ვ.აბალაკოვი და სპორტის ოსტატი დადიომოვი, რომელთაც დაკარგეს ფეხისა და ხელის თითები და თუ სისხლი არ მოეწამლათ და არ დაიღუპნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითმფრინავებით გადაიყვანეს და მოათავსეს მოსკოვის ერთ-ერთ საუკეთესო – ბოტკინის საავადმყოფოში, სადაც მშვიდობიანობის დროს მათ გაცილებით უკეთესი სამედიცინო დახმარება მიიღეს, ვიდრე ამხ.ამხ. რაიზერმა და ტ.ჯაფარიძემ ბეჩოში, მესტიაში ან თბილისში ომის პირობებში. მაშინ თავში არავის მოსვლია ბინძური და სულელური აზრი, ე.აბალაკოვის ან ვ.აბალაკოვისათვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მოხსნის შესახებ. პირიქით, ხანთენგრიზე ასვლა, ამ მსხვერპლის მიუხედავად, აღიარებული იყო მსოფლიო კლასის რეკორდულ მიღწევად და იგი ნამდვილად არის ასეთი. მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიყვანოთ. აქ კი, მოვაწყე აღნიშნულთან შედარებით არა ნაკლები, თუ უფრო ძნელი და რთული არა, პირველი ზამთრის ასვლა უშბაზე, სამი კვირის განმავლობაში მწვერვალზე ასვლა-ჩამოსვლა ურთულესი პირობების მიუხედავად და წმინდა სუბიექტური მიზეზით ორი ამხანაგის მოყინვისა, სავსებით ორგანიზებულად მივაღწიეთ დასახლებულ პუნქტამდე და მოყინული ამხანაგები ჩავაბარეთ ბეჩოს მედპუნქტს და მესტიის საავადმყოფოს. მერე რა? იმის ნაცვლად, რომ გაეცნობიერათ და შეეფასებინათ საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევის სპორტული და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომელიც ომის პირობებშია მოპოვებული, სურთ ლაფში ამოსვარონ, წაშალონ ეს მიღწევა, ხოლო მე, ჩემი ალპინისტური მოღვაწეობის მეთხუთმეტე წელს, მომიხსნან დამსახურებული ოსტატის წოდება.

გეკითხებით, ზემოთ აღნიშნული შემთხვევების შეფასებისას, სად იმალება ამ შიშველი ტენდენციურობის სათავე, უბრალო შეცდომაში, აპოლიტიკურობაში თუ პოლიტიკანობაში, ბინძურ პოლიტიკანობაში?.

სხვათა შორის, უნდა მოგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ ა.წ. 22 მარტს, ალპინიზმის სამხედრო სკოლის მსმენელთა და მასწავლებელთა შემადგენლობისათვის, რომელსაც ესწრებოდა დაახლოებით 200 კაცი და მათ შორის 15-20-მდე სპორტის ოსტატი ალპინიზმში, გავაკეთე მოხსენება უშბის ექსპედიციის შესახებ. მთელი კრებისა და ყველა გამომსვლელის (ჩერეპოვი, სიდორენკო, ანუფრიკოვი, გუსაკი და სხვ.) აზრით, ზამთრის ასვლა უშბაზე საბჭოთა ალპინიზმის ერთ-ერთ უდიდეს მიღწევად, ხოლო ასვლის ორგანიზაცია სავსებით დამაკმაყოფილებლად იქნა მიჩნეული.

საკავშირო სექციის, მისი ხელმძღვანელობისა და წევრების მიმართ ყოველთვის დიდი პატივისცემით ვიყავი გამსჭვალული, ვცდილობდი მუდამ დამეჭირა მხარი და ცხოვრებაში გამეტარებინა ქვეყანაში ალპინისტური მოძრაობის განმტკიცებისათვის მიმართული მისი გადაწყვეტილებები, გულწრფელ პატივს ვცემდი ყველა მეტნაკლებად ცნობილ მთამსვლელს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, დნეპროპეტროვსკიდან და ა.შ., ყოველთვის მხარს ვუჭერდი და სასარგებლო დახმარებას აღმოვუჩენდი ხოლმე, როცა ეს საჭირო და შესაძლებელი იყო. მეგონა, გამოივლიდა რა ომის ქარცეცხლში, ჩვენი ორგანიზაციები მორალურად მომძლავრებულნი და ყველა იმ ნაკლოვანებებისაგან განთავისუფლებულნი გამოვიდოდნენ, რომლითაც, შესაძლოა, ხასიათდებოდა ჩვენი საქმიანობა ომამდე. თქვენც, ჩვენც, ყველანი გავიზარდეთ ომის პერიოდში, ბევრი ვნახეთ, ბევრი გადავიტანეთ, ბევრიც უნდა გვესწავლა. ყოველივე ეს, დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ჩვენგან მეტ სერიოზულობას და პრინციპულობას მოითხოვს მუშაობაში. კერძოდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რატომღაც მეგონა, რომ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კომისია, მისი ცალკეული წევრების "სიბრძნის" შედეგად, თუკი რაიმე გადახრას დაუშვებდა თავის დასკვნებში, საკავშირო სექციას თავის შემადგენლობაში ჰყავს უშბაზე ნამყოფი ამხანაგები, რომელთაც ამ საკითხში სრული სიცხადის შესატანად შეუძლიათ იმ პირობების წარმოდგენა, რომელშიაც მოხდა ჩვენი უშბაზე ასვლა-ჩამოსვლა და დამსახურებული შეფასება მისცენ ჩვენს მიღწევას. სამწუხაროდ, ეს იმედი არ მართლდება.

საკავშირო სექცია რა სიტუაციებზე ამყარებს თავის აზრსა და გადაწყვეტილებას, არ ვიცი, თორემ, პუნქტების მიხედვით მივცემდი განმარტებას. როგორც ჩანს, მომიხდება ამის შემდგომში გაკეთება.

რაც შეეხება წოდებას, გარწმუნებთ თქვენ, ამხ. როტოტაევ, რომ, მე, არ ვეკუთვნი გუბანოვისა და მის მსგავსთა კატეგორიას, რომლებიც სწორი თუ არასწორი ხერხებით ცდილობენ წოდების მოპოვებას. მე წოდებას არასოდეს ველტვოდი, როგორც თვითმიზანს. მე „ალპინისტი" ვიყავი საკავშირო სექციის შექმნამდე გაცილებით ადრე და „ალპინისტად" დავრჩები სიცოცხლის ბოლომდე – მას ვერავინ წამართმევს , ხოლო „დამსახურებულის" წოდება მომცეს არა იმიტომ, მქონდა თუ არ მქონდა რაიმე წვრილმანი დაუდევრობა ამ თუ იმ კონკრეტული ღონისძიების ჩატარებისას, არამედ, მომანიჭეს იგი ალპინიზმში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და სპორტული მიღწევებისთვის. თავის დროზე, ყოველივე ეს შეფასებული იყო არა როგორც კერძო საქმე, რომელიც მხოლოდ მე მეხებოდა, არამედ, საერთოდ, ფასდებოდა როგორც ალპინიზმის ზრდისა და სიმწიფის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

ახლა, როგორც ჩანს, რაღაც გადატრიალება მოხდა წარმოდგენებში და თუკი საკავშირო სექცია საქმისთვის სასარგებლოდ და თავისთვის მოსახერხებლად თვლის, შეუძლია დააყენოს საკითხი ჩემთვის „დამსახურებულის" წოდების მოხსნის თაობაზე.

ამხ. როტოტაევ გთხოვთ, ეს წერილი დაურთოთ უშბის ექსპედიციის საქმეს.

საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე ალიოშა ჯაფარიძე. 8 აგვისტო 1944 წ."

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, როგორ გადაურჩა წერილის ავტორი რეპრესიებს, მაგრამ გადაურჩა კი? სწორედ საკავშირო სპორტკომიტეტმა და ფედერაციამ გააჭიანურეს ალიოშა ჯაფარიძის მიერ 1945 წელს დაგეგმილი უშბა-შხელდის სარეკორდო ტრავერსის ჩატარების ვადები და იგი შემოდგომაზე – სექტემბერ-ოქტომბერში დანიშნეს და არა ივლის-აგვისტოში, როგორც ამას ქართველი მთამსვლელები ითხოვდნენ. ცნობილია, რომ ამ ტრავერსის დროს, 1945 წლის ოქტომბერში, საქართველოში საშინელი ციკლონი შემოიჭრა და ძლიერმა ქარბუქმა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფი ორი კვირის განმავლობაში უშბის მწვერვალზე მოამწყვდია, ხოლო დაშვებისას, არნახული სიძლიერის ზვავმა უშბის ნაპრალებში დამარხა მთელი ჯგუფი.

ამ ტრაგედიის შემდეგაც ჩვეული უსულგულობა გამოიჩინა „ცენტრმა" და ყოველნაირად სცადა აღნიშნული ჯგუფისა და, საერთოდ, ქართველ მთამსვლელთა მიღწევების გაუფასურება. სწორედ ამ გარემოებებზეა გამახვილებული ყურადღება ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ საკავშირო სპორტკომიტეტში გაგზავნილ წერილში, სადაც ადრესატი, ამ შემთხვევაშიც პ. როტოტაევია.

„საქართველოში, 1946 წელს, აუცილებელი საჭურველისა და სახსრების უქონლობის გამო, ალპინისტური ღონისძიებების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. ძირითადად (თუ არ ჩავთვლით სპორტსაზოგადოებებისა და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს პირველი საფეხურის ალპინისტ-ნიშნოსანთა მოსამზადებლად), ჩატარდა მხოლოდ სამი ექსპედიცია:

პირველი – ნ. ცნობილაძის ჯგუფი ქლუხორისა და დომბაის რაიონში ვარაუდობდა ჩაეტარებინა ასვლები 1, მე–2 და მე–3 კატეგორიის მწვერვალებზე...

მეორე – კ. ჯავრიშვილის ჯგუფი მიზნად ისახავდა უშბის პლატოს რაიონში მე–2, მე–3 და მე–4 კატეგორიის მწვერვალების დაპყრობას, მათ შორის, ჩრდილო უშბისას, შემდეგ კი სარეკორდო ასვლას შხარაზე...

მესამე – ესაა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის მძებნელთა ექსპედიცია ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორის ამხ. კ. მარის ხელმძღვანელობით.

ექსპედიციის ამოცანა იყო 1) ალიოშა ჯაფარიძის გზით ჩრდილოეთ უშბაზე ასვლა ჯგუფის დაღუპვის გარემოებათა გამორკვევის მიზნით და 2) დაღუპულთა ნეშტების ძებნა.

ექსპედიციამ სავსებით წარმატებით და მშვიდობიანად დაამთავრა თავისი საქმიანობა და ყველაფერი გააკეთა, რაც შესაძლებელი იყო მოცემულ პირობებში.

ექსპედიციის ძირითადი ჯგუფი კაკო მარის, გაბრიელ და ბექნუ ხერგიანების, გოჯი ზურებიანის, ჭიჭიკო ჩართოლანის, მაქსიმე გვარლიანისა და ალექსანდრა ჯაფარიძის შემადგენლობით ავიდა ჩრდილოეთ უშბაზე კოკინის გზით, რომელიც პირველად გავლილი იყო 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის მიერ. ჩვენს მიერ გზადაგზა აღმოჩენილის (ჯგუფის უკანასკნელი ღამისთევის ადგილი კოკინის ნაბინავარის ოდნავ ზევით, ბერგშრუნდის ძირში, კარვები, აღჭურვილობა, ჯგუფის წერილები უნაგირასა და მწვერვალზე) საფუძველზე დადგინდა, რომ ჯაფარიძის ჯგუფი უშბის უნაგირაზე ავიდა 29.IX.1945 წ. არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ჯგუფმა უნაგირაზე დაჰყო 5.X–მდე, ელოდა გამოდარებას, რომ უშბის სამხრეთ მწვერვალზე ასულიყო. მაგრამ, იმის გამო, რომ ცუდი ამინდი გრძელდებოდა და საკონტროლო ვადაც ახლოვდებოდა, ჯგუფმა უარი თქვა სამხრეთ მწვერვალზე ასულიყო და 5.X–ს ტრავერსით წავიდა ჩრდილოეთ მწვერვალზე, იმ მიზნით, რომ საკონტროლო ვადისათვის (6.X) დაეშვებოდა უშბის პლატოზე, სადაც მათ დამხმარე ჯგუფი ელოდებოდა. მაგრამ 5. X-ს ამინდი მკვეთრად გაუარესდა, ძლიერი თოვა, ნისლი და სასტიკი ქარი აბსოლუტურად შეუძლებელს ხდიდა წინსვლას და ჯგუფი იძულებული გახდა მთელი კვირის განმავლობაში ეცადა მწვერვალზე, ამინდის გაუმჯობესების მოლოდინში.

ისარგებლა რა დროებითი გამოდარებით, 12.X–ს, ჯგუფმა არჩია დაშვებულიყო ქვევით, უმოკლესი და უკვე ნაცნობი კოკინის გზით. გაოცებას მხოლოდ ის იწვევს, რომ უნაგირაზე და მწვერვალზე საშინელ მეტეოროლოგიურ პირობებში ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ, კვების პროდუქტებისა და საწვავის უკმარისობის მიუხედავად, ჯგუფის წევრებმა, მაინც მონახეს თავის თავში ძალა დაშვებულიყვნენ ქვევით და გაევლოთ გზის ურთულესი მონაკვეთი მწვერვალიდან ბერგშრუნდამდე, სადაც მათ რიგი გარემოებების გამო (შემოღამება, ჯგუფის წევრების დაღლილობა მძიმე დაშვების შემდეგ და სხვ.), მოუხდათ იძულებითი გაჩერება. მათ კიდევ ეყოთ ძალა დაემაგრებინათ კარავი და მოწყობილიყვნენ ღამის სათევად, იმ იმედით, რომ მეორე დღეს მიაღწევდნენ დასახლებულ პუნქტამდე. მაგრამ მკაცრმა სტიქიამ ძლიერი ზვავის სახით (რომელიც უხვი თოვლის მოსვლისა და ხანგრძლივი, ძლიერი ქარბუქის შედეგს წარმოადგენდა) იმავე ღამეს, ასე ულმობლად, სამუდამოდ დამარხა სამი სიცოცხლე.

სწორედ აქ, მათი უკანასკნელი ღამისთევის ადგილზე აღმოვაჩინეთ ზვავისგან გაგლეჯილი კარავი, ორი წერაყინი, ჩაქუჩი, რამდენიმე კარაბინი, კაუჭები და ყინულოვან ფერდზე დაკიდებული თოკი რეპშნურით. თოკზე მიბმული იყო კარავი, რომლის გამოთხრაც 2,5 საათის განმავლობაში მოგვიხდა მაგარი, შუშასავით გამჭვირვალე ყინულიდან.

მრავალი დღის განმავლობაში, მძებნელთა ჯგუფის ყველა წევრის გულმოდგინე და თავდადებული მუშაობის მიუხედავად, დაღუპულთა ნეშტების პოვნა, სამწუხაროდ, მაინც არ მოხერხდა. ჩემთვის დიდად საუბედუროდ, ეს ამჯერად სრულებით შეუძლებელი აღმოჩნდა ღრმა თოვლის არსებობისა და წინა წლებთან შედარებით ყინულის საფარის ძლიერი ცვლილების გამო (ძველი ნაპრალები დაიხურა – ახალი გაიხსნა).

უნდა აღინიშნოს, რომ მძებნელთა ექსპედიციის ეს ასვლა, გარდა იმისა, რომ საბოლოოდ გამოარკვია ჯაფარიძის ჯგუფის დაღუპვის გარემოებანი (ჩაატარა გულმოდგინე ძიება და, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აღმოაჩინა მათი უკანასკნელი ღამისთევის ადგილი, კარავი, ზოგიერთი საჭურველი და ჯგუფის წერილები), სპორტული თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა:

1. ექსპედიციამ, 7 კაცის შემადგენლობით, მთლიანად გაიარა ჯაფარიძის ჯგუფის მიერ გავლილი გზა და ავიდა ჩრდილოეთ უშბაზე კოკინის გზით. მწვერვალზე ამსვლელთა რაოდენობით, ეს იყო არნახული შემთხვევა უშბაზე ასვლების ისტორიაში.

2. ამ ასვლით, სამმა მონაწილემ კაკო მარმა, ჭიჭიკო ჩართოლანმა და მაქსიმე გვარლიანმა მოიპოვეს უფლება მიიღონ სსრკ სპორტის ოსტატის წოდება ალპინიზმში.

3. ასვლაში მონაწილეობდა ქალი, ჯგუფის ყველა წევრზე უფროსი, დაახლოებით 50 წლის და, თუ არ ვცდები, საერთოდ, ყველაზე უფროსი უშბაზე ამსვლელთაგან. ესეც არნახული შემთხვევაა საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში.

ამგვარად, ზოგიერთი მაჩვენებლით, ექსპედიცია თავისთავად აღმოჩნდა რეკორდული, რაც არ იყო გათვალისწინებული სარეკორდო ასვლების სიების შედგენისა და დამტკიცების დროს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს შემდეგი: როგორც ცნობილია, ე. აბალაკოვის მძებნელთა ჯგუფის შარშანდელი ასვლა უშბის უნაგირაზე კოკინის გზით, სრულიად სამართლიანად იქნა მიჩნეული 1945 წლის საკავშირო რეკორდად. აქედან გამომდინარე, ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფის პირველი საბჭოთა ასვლა იმავე გზით უნაგირაზე და უშბის მწვერვალზე, განსაკუთრებით მძიმე პირობებში, მით უმეტეს, უნდა იქნეს მიჩნეული საკავშირო რეკორდად და დიდ სპორტულ მიღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი უკან დაბრუნებისას დაიღუპა, მათ მაინც მოასწრეს გზის ურთულესი მონაკვეთის გავლა მწვერვალიდან ბერგშრუნდამდე და სსრ კავშირის სამი გამოჩენილი მთამსვლელის დაღუპვის სრული სიჩუმით გვერდის ავლა მათი მიღწევების აღუნიშნავად, როგორც ეს გააკეთა საკავშირო ალპინისტურმა სექციამ და ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტმა, არ ვიცი რით ავხსნა?!... ამიტომ, ვფიქრობ, საკავშირო ალპინისტურმა სექციამ უნდა იმსჯელოს და ჯეროვანი შეფასება მისცეს, როგორც დაღუპულ ჯაფარიძის ჯგუფს, რომლის შესახებ თავის დროზე არაფერი იყო



გურამ თიკანაძის ფოტო

ალექსანდრა ჯაფარიძე ბეთლემის გამოქვაბულის ძირში

ნათქვამი, ასევე ჩვენს მძებნელ ექსპედიციას.

საუკეთესო ალპინისტები – მელორი და ირვინი დაიღუპნენ ევერესტის დაპყრობისათვის ბრძოლაში. პოლუსების ათვისებისათვის ბრძოლის ისტორია, არაერთი ადამიანის მსხვერპლსა და ზოგჯერ, მთელი ექსპედიციების დაღუპვასაც იცნობს, მაგრამ მათი მნიშვნელობა კი არ მცირდება, არამედ, პირიქით, უფრო მეტად ფასობს ამ უშიშარ და გაბედულ მკვლევართა თავდადება, რომელთაც შეუძლიათ სიცოცხლე გასწირონ დასახული მიზნის მისაღწევად...

ძალიან გთხოვთ, ამ წერილის შინაარსი გადასცეთ საკავშირო ალპინისტური სექციის თავმჯდომარეს ამხ. გუსევს და ჩემს მიერ წამოყენებული საკითხები დასვათ სექციის პრეზიდიუმზე და საკავშირო სპორტკომიტეტში. ალექსანდრა ჯაფარიძე. თბილისი, 1947 წ."

ჩვენს მიერ შემოთავაზებული წერილებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ბრძოლა უწევდათ ქართველ მთამსვლელებს საკავშირო უწყებების უზნეო და უსამართლო ქმედებების წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ეს არ იყო ერთეული შემთხვევები. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება სპორტის ნებისმიერი სახეობიდან, მაგრამ მთამსვლელობაში იმპერიული უზნეობის ასეთ მაგალითებს, სამწუხაროდ, ხშირად მსხვერპლი მოჰყვებოდა ხოლმე. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, გურამ თიკანაძის დაღუპვაც ხომ საკავშირო ფედერაციის ასეთი დამოკიდებულებით იყო გამოწვეული.

**P.S. ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციის მიზანი ერთადერთია – საქართველოს ახალგაზრდობამ იცოდეს თუ რა პირობებში უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა მათ წინაპრებს, რადგან დიდი ილიასი არ იყოს, „ერის დაცემა და გადაგვარება მაშინ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს."**

ივანე ჯაფარიძე

*(დასაწყისი წინა ნომერში)*

# საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

**20 დეკემბერს, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საკონფერენციო დარბაზში გაიმართება სფფ-ს აღმასკომის მე-14 სხდომა.**

## დღის წესრიგი:

1. სფფ-ს აღმასკომის 2002 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
2. უეფას მიერ სფფ-სადმი მიცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზაციულ-პრაქტიკულ ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ.
3. საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებში ფეირ-პლეის პრინციპების დაცვის შესახებ.
4. 2002 წლისთვის რეგიონული ფედერაციების ფინანსური დახმარების შესახებ.
5. სხვადასხვა.

აღმასკომის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების პრეზიდენტები, სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის წევრები, სააპელაციო კომიტეტი, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი, სფფ-ს მსაჯები და ინსპექტორები. საფეხბურთო თემაზე მომუშავე ჟურნალისტები.

მამუკა კვარაცხელია, სფფ-ს პრეს-ატაშე

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
## უმაღლესი ლიგა XVII ტური, ანონსი

*24 ნოემბერი*
დინამო (თბ) — ლოკომოტივი
მეტალურგი — სამგურალი
დინამო (ბთ) — ტორპედო
გორდა — კოლხეთი1913
სიონი — გურია

*25 ნოემბერი*
ვიტ-ჯორჯია — მერანი

ორი ტურიც და წლეულს საფეხბურთო ჩემპიონატიც დასრულდება და მხოლოდ გაისად, მარტის პირველ რიცხვებში განახლდება. მანამდე 2001 წლის ბოლოსწინა ტურისა ვიკითხოთ. უდავოა და ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა, რომ ტურში გამორჩეული და მნიშვნელოვანი სამი მატჩია. ვეტერინარების მიერ ულვთოდ ნაგვემი თბილისური „დინამო“ ისევ დერბიში ჩაებმება, ამჯერად ეროვნულს „ლოკომოტივი“ ესტუმრება. კლუბებს შორის თერთმეტქულიანი სხვაობა სულაც არ აკნინებს შეხვედრის მნიშვნელობას. პირიქით, სიმწვავე იოტისოდენიც არ აკლდება მატჩს. „ტორპედოს“ უძნელესი მატჩი ელის ზღვისპირეთში. ბათუმელები „თბილად“ ყოფნისთვის ასე იოლად არ დათმობენ მესამე ადგილს და ლიდერებთან სხვაობის შემცირებასაც შეეცდებიან. „დინამოს“ „გამლახავი“ „ვიტ ჯორჯია“, მართალია, დერბის ისევ გამართავს, მაგრამ ავჭალურ „მერანს“ მცხეთაში დაუხვდება და თუ მოუგო, გადაასწრებს კიდეც. კიდევ ერთი მატჩი, რომელიც მოასპარეზეებისთვის უმნიშვნელოვანესია, აუტსაიდერთა მატჩია. სატურნირო ცხრილის ფსკერის ორი ბინადარი „სამგურალი“ და „მეტალურგი“ ზესტაფონში გაარკვევენ ურთიერთობას. ზემოთქმული ოთხი შეხვედრა, მართლაც ძირითადი მატჩია ტურში, თუმცა ეს ჩვენი სუბიექტური აზრია. დარჩენილი ორი შეხვედრა დაძაბულობით და ინტრიგით მათ არაფრით ჩამოუვარდება „გორდა“ — „კოლხეთი“, „სიონი“ — „გურია“. მგონი ყოველივეს კომენტარი არ სჭირდება.

მიშ. ახილველი

## გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 13 | 2 | 1 | 40-10 | 41 |
| ლოკომოტ. | 16 | 12 | 2 | 2 | 32-8 | 38 |
| დინამო (ბთ) | 16 | 8 | 4 | 4 | 23-14 | 28 |
| დინამო (თბ) | 16 | 8 | 3 | 5 | 29-17 | 27 |
| მერანი | 16 | 8 | 2 | 6 | 27-23 | 26 |
| კოლხ.1913 | 16 | 7 | 3 | 6 | 25-25 | 24 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 6 | 6 | 4 | 24-18 | 24 |
| სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 11-23 | 16 |
| გურია | 16 | 2 | 6 | 8 | 12-26 | 12 |
| გორდა | 16 | 2 | 4 | 10 | 13-31 | 10 |
| სამგურალი | 16 | 2 | 4 | 10 | 12-31 | 10 |
| მეტალურგი | 16 | 1 | 6 | 9 | 7-29 | 9 |

### ბომბარდირები

8 — დათვაძე (ლოკომოტივი)
ბობოხიძე (დინამო თბ)
გაგუა (მერანი)
ქუთათელაძე (ტორპედო)
წივწივაძე (კოლხეთი 1913)
აშვეთია (ტორპედო)
7 — გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია)
პოროშინი (ტორპედო)
იონანიძე (ტორპედო)
მაჭუტაძე (დინამო ბთ)
აფხაზავა (დინამო ბთ).



## პირველი ლიგა, XVII ტურის ანონსი

*25 ნოემბერი*
ლოკომოტივი3 — თორი
მილანი — თსუ (გადაიდო)
ქობულეთი — ლაზიკა
ლოკომოტივი (სამტ) — ცხინვალი
კოლხეთი (ხ) — დილა

*26 ნოემბერი*
დინამო2 — მერანი2

*შენიშვნა: თასის მერვედფინალის განმეორებითი მატჩის დასრულების შემდეგ, წნორის სტადიონის გასახდელში უცხო პირებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს „მილანი“ — „გურიას“ მატჩის მთავარ არბიტრს ზურაბ ანიაშვილს. მომხდარი ინციდენტის გამო, სადისციპლინო კოლეგიაზე საკითხის განხილვამდე „მილანის“ უახლოესი საშინაო მატჩი გადაიდო.*

***XV ტურის გადატანილი მატჩი***
ლოკომოტივი (სამტრედია) — თსუ 0-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 16 | 11 | 2 | 3 | 29-9 | 35 |
| დილა | 16 | 11 | 2 | 3 | 35-8 | 35 |
| მილანი | 16 | 10 | 4 | 2 | 39-15 | 34 |
| ქობულეთი | 16 | 9 | 4 | 3 | 19-11 | 31 |
| ცხინვალი | 16 | 8 | 2 | 6 | 34-23 | 26 |
| ლოკომოტ.3 | 16 | 6 | 6 | 4 | 23-17 | 24 |
| დინ. 2 (თბ) | 16 | 7 | 1 | 8 | 14-17 | 22 |
| ლაზიკა | 16 | 6 | 4 | 6 | 19-25 | 22 |
| ლოკ.(სამტრ) | 16 | 3 | 4 | 9 | 13-25 | 13 |
| კოლხეთი (ხ) | 16 | 2 | 7 | 7 | 13-27 | 13 |
| მერანი2 | 16 | 3 | 1 | 12 | 11-34 | 10 |
| თორი | 16 | 1 | 1 | 14 | 12-50 | 4 |

## სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე

# გუჯაბიძეს პირველი ეტაპი გამოატოვებინეს
## კაცია მკაცრად დასაჯეს

**სფფ-ს სადისციპლინო კოლეგიის 224-ე სხდომა დიდხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ ამით მიღებულ გადაწყვეტილებებს სიმწვავე არ მოჰკლებია.**

„დინამო“ — „მერანის“ მატჩისას გაძევებულმა ზაზა ცქიფურიშვილმა ყველაზე ნაკლები სასჯელი მიიღო. იგი ერთ მატჩს გამოტოვებს და 50 ლარს გადაიხდის.

„მეტალურგისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრაში გიორგი მანწკავას და მირიან გეწაძეს ძიძგილაობა 2-2 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და 100-100 ლარიანი ჯარიმით შეფასდა.

„სიონი“ — „მერანის“ მატჩში გოჩა გუჯაბიძეს მსაჯ დოგრაშვილთან „ხელების შლა“, ჩარტყმა თუ დარტყმა ძვირი დაუჯდა. მერანელი პირველი ეტაპის ბოლომდეა დისკვალიფიცირებული, მომავალი წლის ოქტომბრამდე კი პირობითად დაისაჯა, თანაც ათასი ლარი ჯარიმაც უნდა გადაიხადოს.

„ლაზიკა“ — სამტრედიის „ლოკომოტივის“ მატჩში რკინიგზელმა ლევან კეკელიძემ მსაჯს შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც 4 მატჩში ველარ გამოვა მინდორზე და 200 ლარს გადაიხდის.

„ტორპედო“ — „გორდას“ მატჩში რუსთაველთა თავკაცს თენგიზ კაციას მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის სამტრედიელი ფეხბურთელის ანალოგიური სასჯელი გამოუწერეს. იგი 4 მატჩში ვერ უხელმძღვანელებს გუნდს სათადარიგოთა სკამიდან და 200 ლარით შეიმსუბუქებს ჯიბეს.




## მერვედფინალი, საპასუხო მატჩი

მილანი (წნორი) — ***გურია (ლანჩხუთი)*** 2-2 (0-1)

## შეხვედრა მომავალში

### მეოთხედფინალის კენჭისყრა

გუშინ სფფ-ში გამართულმა სათასო წილისყრამ უმაღლესი ლიგის შვიდი და პირველი ლიგის ერთი კლუბი ასე დააწყვილა.
ვიტ ჯორჯია (თბ.) — გორდა (რუსთ.)
დინამო (ბათუმი) — ლოკომოტივი (თბილისი)
გურია (ლანჩხუთი) — ტორპედო (ქუთაისი)
თსუ (თბილისი) — დინამო (თბილისი)
მატჩები გაიმართება გაისად, პირველი შეხვედრები სავარაუდოდ, 6 მარტს, საპასუხოები — 3 აპრილს.

## ს.კ. «ლოკომოტივის» პრეზიდენტს ბატონ აკაკი ჩხაიძეს

**ბატონო აკაკი!**

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, პირადად პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, გილოცავთ მთავრობის მაღალ ჯილდოს — ვახტანგ გორგასლის სახელობის მეორე ხარისხის ორდენის მიღებას. გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ მოღვაწეობას ქართული ფეხბურთის, ქართული რკინიგზის და ქვეყნის საკეთილდღეოდ. მსოფლიოში ბევრი კლუბი ვერ დაიკვეხნის ორდენოსანი პრეზიდენტით და დაე, ეს ჯილდო თბილისის „ლოკომოტივისთვის“ საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებების დასაბამი გამხდარიყოს...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



## მსაჯები კლუბებს ეხმარებიან

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა კლუბებში დააგზავნა სახელმძღვანელოდ ფიფა-სა და უეფა-ს მიერ გამოგზავნილი ვიდეო-ფირი და შესაბამისი განმარტებები. ფირზე აღბეჭდილია ბოლო სიახლეები, რაც მიიღო უეფა-ს სამსაჯო კომიტეტმა და მათი რეკომენდაციები ზოგიერთ სათამაშო სიტუაციებთან დაკავშირებით.

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი იმედოვნებს, რომ აღნიშნულ მასალას გულისყურით შეისწავლიან და გააცნობენ გუნდის ყველა ფეხბურთელს და მწვრთნელს, რაც მათ დაეხმარებათ მომავალ მუშაობაში.

კომიტეტი მზად არის აგრეთვე სურვილის შემთხვევაში, ჩაატაროს კლუბში შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული მუშაობა.



## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# რეგიონული ლიგა

### დასავლეთის ზონა

*XVII ტური*

გურია-2 — საპოვნელა (გადაიდო)
მეტალურგი2 — სულორი 0-1
დინამო (ზ) — სამეგრელო 4-1
ოკრიბა — დინამო (სოხ) 3-0
ეგრისი — მერცხალი 0-2
გზები — დინამო2 (ბთ) 2-0
მალაროელი — ინტერი 5-3
ლუკა — კოლხეთი— 1-1
სალხინო — სქური 1-1
ჩიხურა — საირმე 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 16 | 14 | 2 | 0 | 41-10 | 44 |
| სულორი | 16 | 13 | 0 | 3 | 42-18 | 39 |
| დინამო (ზ) | 16 | 12 | 2 | 2 | 35-14 | 38 |
| საპოვნელა | 16 | 11 | 3 | 2 | 52-16 | 36 |
| გურია2 | 15 | 10 | 3 | 2 | 42-13 | 33 |
| მალაროელი | 17 | 10 | 1 | 6 | 38-27 | 31 |
| კოლხეთი2 | 17 | 8 | 6 | 3 | 28-14 | 30 |
| სალხინო | 17 | 9 | 1 | 7 | 26-24 | 28 |
| ინტერი | 16 | 8 | 1 | 7 | 25-22 | 25 |
| საირმე | 16 | 7 | 2 | 8 | 17-17 | 23 |
| გზები | 17 | 7 | 1 | 9 | 19-24 | 22 |
| სქური | 16 | 6 | 3 | 7 | 24-30 | 21 |
| ეგრისი | 16 | 6 | 1 | 9 | 21-26 | 19 |
| მეტალურგი2 | 17 | 5 | 3 | 9 | 28-32 | 18 |
| დინ. (ბთ) | 17 | 4 | 2 | 11 | 11-30 | 14 |
| სამეგრელო | 17 | 4 | 2 | 11 | 22-47 | 14 |
| ჩიხურა | 17 | 4 | 1 | 12 | 12-43 | 13 |
| ლუკა | 17 | 3 | 2 | 12 | 17-49 | 11 |
| დინამო(სოხ) | 17 | 2 | 3 | 12 | 12-39 | 10 |
| ოკრიბა | 16 | 2 | 0 | 14 | 12-40 | 6 |

### აღმოსავლეთის ზონა

*XV ტური*

მაუდი — ალაზანი 0-1
ზოოვეტი — თბილისი 9-0
ივერია — ვიტ ჯორჯია2 2-4
დინამო3 — ოლიმპიკი 1-0
მცხეთა — ვარძია 4-0
ლიახვი — გორდა 5-3
მერანი3 — აკადემია 0-0
ჰაბუკიანი — ცხუმი 1-1
მრეტები — მესხეთი 0-1
კრწანისი — ჯავახი 5-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მცხეთა | 15 | 12 | 2 | 1 | 37-7 | 38 |
| ალაზანი | 15 | 11 | 2 | 2 | 39-15 | 35 |
| ივერია | 15 | 9 | 2 | 4 | 39-25 | 29 |
| მაუდი | 15 | 9 | 2 | 4 | 21-11 | 29 |
| ზოოვეტი | 15 | 9 | 1 | 5 | 34-18 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 4 | 3 | 42-13 | 28 |
| ოლიმპიკი | 15 | 8 | 3 | 4 | 32-16 | 27 |
| აკადემია | 15 | 7 | 5 | 3 | 27-17 | 26 |
| ცხუმი | 15 | 7 | 4 | 4 | 33-15 | 25 |
| ჰაბუკიანი | 15 | 6 | 7 | 2 | 20-21 | 25 |
| მესხეთი | 16 | 7 | 1 | 8 | 21-25 | 22 |
| ვარძია | 15 | 6 | 3 | 6 | 13-20 | 21 |
| ლიახვი | 15 | 6 | 1 | 8 | 24-32 | 19 |
| გორდა2 | 15 | 4 | 4 | 7 | 24-24 | 16 |
| დინამო3 (თბ) | 15 | 4 | 4 | 7 | 19-22 | 16 |
| კრწანისი | 15 | 4 | 2 | 9 | 20-36 | 14 |
| თბილისი | 15 | 3 | 2 | 10 | 20-46 | 11 |
| მერანი3 | 15 | 3 | 2 | 10 | 13-38 | 11 |
| მრეტები | 15 | 0 | 4 | 11 | 17-38 | 4 |



# ლეგენდარული კაპიტნები

„რჩეულნი რჩეულთა შორის" — ამ რუბრიკით ინტერნეტმა საიტით „სპორტკლუბი", გაავრცელა მასალები ლეგენდარულ საფეხბურთო კაპიტნებზე: ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინიზე, ბობი ჩარლტონზე, იგორ ნეტოზე, ვიქტორ კოლოტოვზე და ალექსანდრე ჩივაძეზე. „ლელოს" წინა ნომრებში ფრანც ბეკენბაუერზე, მიშელ პლატინიზე და ბობი ჩარლტონზე გიამბეთ. დღეს კი იგორ ნეტოს წარმოგიდგენთ.





იგორ ნეტო

## იგორ ნეტო

დაიბადა 1930 წლის 9 იანვარს, მოსკოვში. გარდაიცვალა 1999 წლის 29 მარტს. ამპლუა: ნახევარმცველი. 1955-64 წლებში იყო „სპრტაკის" კაპიტანი და 1954-63 წლებში სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანი.

გამოკითხვა რომ ჩატარებულიყო, თუ ვინ არის ყველა დროის ყველაზე „ნამდვილი" ფეხბურთელი, იგორ ნეტო უკონკურენციოდ გაიმარჯვებდა. განსაკუთრებით იმ უნიკალური ეპიზოდის შემდეგ, რომელიც მოხდა 1962 წლის 6 ივნისს. იმ დღეს, საბჭოთა კავშირის ნაკრები გადამწყვეტ მატჩს ატარებდა ურუგვაელებთან მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში – წაგება დამღუპველი იყო. და აი, ბურთი აღმოჩნდა სამხრეთამერიკელთა კარში. საბჭოთა ფეხბურთელები, ბუნებრივია, ერთმანეთს ეხვევიან – ანგარიში ხომ უკვე 2-0 გახდა... და ამ დროს, ნეტო მიდის არბიტრთან და ჟესტიკულაციით განუმარტავს, რომ გოლი გავიდა წესების დარღვევით. შემდეგ მსაჯთან ერთად უახლოვდება კარის ბადეს და აჩვენებს, რომ ძელის კუთხეში ბადე გარღვეული იყო, საიდანაც ბურთი კარში შეგორდა გარედან. რაც ყველაზე გასაკვირია, თავად ურუგვაელებს არ შეუნიშნავთ, როგორ აღმოჩნდა ბადის გარედან კარში ბურთი. ასე რომ, მატჩი დამთავრდა 1-0.

ნეტო იდეალური კაპიტანი იყო. მას სჩვეოდა თამამად გამოეთქვა თავისი აზრი, თუნდაც ის განსხვავებული ყოფილიყო მწვრთნელთა შეხედულებისგან და ყოველთვის ბოლომდე იცავდა თავის პოზიციას. ნეტოს კაპიტნობის დროს საბჭოთა ნაკრები გახდა ოლიმპიური ჩემპიონი 1956 წელს, ხოლო 1960 წელს პირველად მოიპოვა ევროპის თასი, „სპარტაკმა" კი ხუთჯერ იზეიმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და სამჯერ თასი დაისაკუთრა.

*პარიზი. 1960 წლის 10 ივლისი. ევროპის თასის პირველი გათამაშება. იუგოსლავია — სსრკ 1-2*
*მატჩის 113-ე წუთზე მიხეილ მესხი მეტეორივით გაიჭრა მარცხენა ფლანგზე და ზუსტად მიაწოდა ვიქტორ პონედელნიკს, ამ უკანასკნელმა კი გამარჯვების გოლი გაიტანა იუგოსლავიელთა კარში.*
*სსრკ-ს ნაკრები: იაშინი, ჩოხელი, კრუტიკოვი, მასლიონკინი, ვოინოვი, ნეტო (კაპიტანი), მეტრეველი, ვალენტინ ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, მესხი.*

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ინგლისელმა ფეხბურთელებმა გაფიცვა გამოაცხადეს

ფეხბურთის სამშობლოში ექსტრაორდინარული სიტუაცია მწიფდება — პრემიერ-ლიგის ფეხბურთელებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა. ელიტარული კლუბების მოთხოვნებს მხარს უჭერენ აგრეთვე სხვა დივიზიონების კლუბების წარმომადგენლები. ასე რომ, ინგლისელი გულშემატკივრები შეიძლება საყვარელი სანახაობის გარეშე დარჩნენ გაურკვეველი დროით.

პროფესიონალ ფეხბურთელთა ინგლისის ასოციაცია და პრემიერ-ლიგა ერთმანეთს წაეჩხუბნენ 5 პროცენტიანი ანარიცხის თაობაზე. მიმდინარე სეზონამდე პრემიერ-ლიგა ამ თანხას ტელეტრანსლაციიდან მიღებული შემოსავლებიდან იხდიდნენ. თუ ამ პროცენტს რეალურ თანხაში გადავიყვანთ, გამოდის, რომ იგი 41 მილიონ ფუნტ სტერლინგს შეადგენს. როგორც წესი, ეს ფული ხმარდება ვეტერან ფეხბურთელებს, ტრავმირებულ მოთამაშეთა მკურნალობას და ა.შ.

ლიგაში, თავდაპირველად, ფეხბურთელთა მუქარა სერიოზულად არ ჩათვალეს. მერე კი დარწმუნდნენ, რომ საქმე საგანგაშო ხასიათს იძენდა და კომპრომისზე წავიდნენ — ექვსჯერ შემცირებული თანხა 25 მილიონამდე გაზარდეს, მაგრამ... „ხალხის რისხვის" ზვავი უკვე აგორებული იყო და შეჩერება შეუძლებელი გახდა. „41 მილიონი და არც ერთი პენით ნაკლები" — თავისას არ იშლიდნენ ფეხბურთელები, ამ პოზიციას კი უკვე ფეხბურთელთა 99 % იზიარებს.

ბოიკოტის ეს ფორმა წვრთნასა და შეჯიბრებებში მონაწილეობაზე უარს არ ითვალისწინებს. უბრალოდ, ფეხბურთელები ტელეკამერების წინ აღარ ითამაშებენ 1 დეკემბრიდან. თუ რა მოხდება, დრო გვიჩვენებს. იგეგმება სასამართლო პროცესი.

## ავსტრიის მწვრთნელი გადადგა

ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ოტო ბარიჩი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, რადგან გუნდმა ვერ შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საგზურის მოპოვება.

69 წლის ბარიჩმა ნაკრები 1999 წლის აპრილში ჩაიბარა. მისი ხელმძღვანელობით ავსტრიელებმა 22 მატჩი ითამაშეს, აქედან მოიგეს – 7, ფრედ დაასრულეს 6 შეხვედრა და 9 წააგეს.

## ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებებს ბრალს სდებენ „ჩაწყობილ" თამაშში

კოლუმბიის საფეხბურთო ფედერაციამ ფიფას გაუგზავნა პროტესტი „ჩაწყობილ" მატჩთან დაკავშირებით მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში სამხრეთ ამერიკის ზონაში ურუგვაისა და არგენტინის ნაკრებ გუნდებს შორის, რის შემდეგ კოლუმბიელებმა კორეა-იაპონიის საგზური დაკარგეს.

კოლუმბია მატჩს იგებდა 4-0, ურუგვაი-არგენტინის შეხვედრა კი ფრედ — 1-1 დამთავრდა. „ამ გუნდებმა შეგნებულად დაასრულეს მატჩი ასეთი ანგარიშით" — სწერს კოლუმბიის ფედერაცია ფიფას.

## მადრიდი შევჩენკოზე ოცნებობს

მადრიდის „რეალის" გულშემატკივართა გამოკითხვამ აჩვენა, რომ იტალიის „მილანის" უკრაინელი ლეგიონერი ანდრეი შევჩენკო ის ფეხბურთელია, რომლის „სამეფო კლუბში" ხილვაზე ოცნებობენ ესპანელები. შევჩენკოს ხმა მისცა გამოკითხულ გულშემატკივართა 46 პროცენტმა, მეორე ადგილზეა „ლივერპულის" ფეხბურთელი მაიკლ ოუენი – 27 %.

## ზინედინ ზიდანი – „ონზე მონდიალის" რჩეული

როგორც ცნობილია, მსოფლიოს სხვადასხვა საფეხბურთო გამოცემები რჩეულ მოთამაშეებს სხვადასხვა პრიზებს ანიჭებენ. გამონაკლისი არც ფრანგული „ონზე მონდიალია", რომელმაც 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა ზინედინ ზიდანი. სპეციალური პრიზი მადრიდის „რეალისა" და საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველს გუშინ საღამოს გადასცეს საზეიმო ვითარებაში. პრიზი რჩეულს მიშელ პლატინიმ გადასცა. ასე რომ, ზიდანის კოლექცია კიდევ ერთი ჯილდოთი გამდიდრდა.



ზიდანი



ანელკა

## ანელკა დაშავდა

საფრანგეთის პსჟ-ს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ კლუბისა და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ნიკოლა ანელკა დაშავდა. ამ მიზეზით გუშინ მან გამოტოვა მატჩი შოტლანდიის „რეინჯერსთან" უეფას თასზე. ეს სეზონი ანელკას არ სწყალობს: 14 მატჩში მან მხოლოდ 2 გოლი გაიტანა, ამასთან, კონფლიქტი მოუხდა კლუბის მწვრთნელ ლუის ფერნანდესთან.

## მკვლელებს მიუსაჯეს

ჩელიაბინსკის საოლქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა მაგნიტოგორსკის „მეტალურგის" მეკარის სერგეი ზამჩენკის მკვლელებს — ორ ახალგაზრდა ნარკომანს ანატოლი შნიცარს და ვადიმ ტოროპოვს შესაბამისად 20 და 10 წლით პატიმრობა მიესაჯათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა — მეორე ჯგუფური ეტაპი (I ტური)

## A ჯგუფი

### ბაიერნი – მანჩესტერი 1-1

***ბაიერნი:*** კანი, სანიოლი, ლიზარაზიუ, კუფური, რ. კოვაჩი, ჰარგრეივსი, სალიჰამიჯიჩი (ციკლერი 73), ეფენბერგი (სფორცა 67), პაულო სერჟიო, ელბერი (იანკერი 67), პიზარო.

***მანჩესტერი:*** ბარტეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ირვინი (სილვესტრი 46), ბლანი, კინი, ბექჰემი, ვერონი, სქოულზი, ფორჩუნი, ვან ნისტელროოი (იორკი 85).

***გოლები:*** 0-1 ვან ნისტელროოი (74), 1-1 პაულო სერჟიო (87).

პირველი სახიფათო მომენტი ამ შეხვედრაში შეიქმნა 32-ე წუთზე, როცა შვედმა მსაჯმა ანდრეს ფრისკმა საჯარიმო დანიშნა ინგლისელთა კარში, მაგრამ ეფენბერგის დარტყმა მოხვდა ცოცხალ კედელს. მეორე ნახევრის 74-ე წუთზე შეცვლაზე შემოსული სილვესტრის ჩაწოდება გოლად აქცია მანჩესტერის ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ვან ნისტელროიმ. ინგლისელებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ კინის მიერ დარტყმული მოიგერია გერმანელთა კარის ძელმა. შეხვედრის 87-ე წუთზე იანკერის გადაცემის შემდეგ, პაულო სერჟიო გადის პირისპირ და ათანაბრებს ანგარიშს, ხოლო უკანასკნელ წუთზე ინგლისელები დამარცხებისგან იხსნა ბარტეზმა, როცა მოიგერია სფორცას უძლიერესი დარტყმა. საბოლოოდ ფრე 1-1.


ბაიერნი – მანჩესტერი

### ბოავიშტა – ნანტი 1-0

***ბოავიშტა:*** რიკარდო, რუი ოსკარი (მარტელინო 20), ტურა, ლიმა, დუდა, სილვა, ლოჰა, ფრეშო, ბოსინგვა (პედრო სანტოსი 59), გულარტი (ჟორჟე სილვა 63), სანჩესი.

***ნანტი:*** ლანდრო, ფაბრი, ლასპალი, ჟილე, ოლემბე (ზიანი 78), და როშა, ანდრე (ვაირუა 67), დელომო, ბერსონი, ახამადა (დალმა 67), არმანდი.

***გოლი:*** სანჩესი (24).

ამ შეხვედრაში ერთადერთი ბურთი 24-ე წუთზე გაიტანა ბოავიშტას ბოლივიელმა ნახევარმცველმა ერვინ სანჩესმა. მეორე ნახევარი წარიმართა ნანტის უპირატესობით, მაგრამ ამან ასახვა ვერ ჰპოვა ანგარიშში, საბოლოოდ 1-0 ბოავიშტას სასარგებლოდ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ნანტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 1 |


ბოავიშტა – ნანტი

## B ჯგუფი

### გალათასარაი – რომა 1-1

***გალათასარაი:*** მონდრაგონი, ბიულენტი, ქორქმაზი, ემრე ასიკი, კარანი (არიფი 88), ბიულენტი აკინი (ფლერკვინი 46), სერგენი, პერესი, აიჰანი, კაპონე, ჰასანი შაში, ჰაქანი უნსალი.

***რომა:*** ანტონიოლი, კაფუ, ლიმა (ასუნსაო 75), ალდაირი, სამუელი, ძებინა (ფუზერი 81), კანდელა, ემერსონი, ტომაზი (კასანო 46), ტოტი, ბატისტუტა.

***გოლები:*** 1-0 პერესი (22), 1-1 ემერსონი (90).

შეხვედრის პირველი ნახევრის 22-ე წუთზე კარანის ჩამოწოდებულ ბურთს პერესმა მიუჩინა ადგილი იტალიელთა კარის ბადეში. ამის შემდეგ თურქებს შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ უშეცდომოდ თამაშობდა რომას კარის დარაჯი. საპასუხო ბურთი იტალიელებმა გაიტანეს მსაჯის მიერ დამატებულ დროში, როცა ემერსონმა ისარგებლა გალათასარაის კოლუმბიელი მეკარის შეცდომით. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ეს არის პირველი გაშვებული გოლი „გალათასარაის“ მიერ საკუთარ მოედანზე ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში.

### ლივერპული – ბარსელონა 1-3

***ლივერპული:*** დუდეკი, ანშო, ჰიუპია, კარაგერი, რიისე, მერფი, ჯერარდი, მაკალისტერი (ბერგერი 69), შმიცერი (ლიტმანენი 80), ჰესკი (ფაულერი 66), ოუენი.

***ბარსელონა:*** ბონანო, დე ბური, ანდერსონი, კრისტანვალი, კოკო, გაბრი (როშემბაკი 58), ხავი, კოკუ, ლუის ენრიკე (ოვერმარსი 17), რივალდო, კლიუვერტი (რაიციგერი 89).

***გოლები:*** 1-0 ოუენი (27), 1-1 კლიუვერტი (41), 1-2 როშემბაკი (65), 1-3 ოვერმარსი (84).

ეს გუნდები შარშან შეხვდნენ ერთმანეთს უეფას თასის ნახევარფინალში, მაშინ იმარჯვეს ინგლისელებმა, ამ შეხვედრაში ესპანელებმა აიღეს დამაჯერებელი რევანში. პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში, ანგარიში გახსნეს ინგლისელებმა შეხვედრის 27-ე წუთზე, როცა შმიცერის გადაცემის შემდეგ ოუენი გავიდა პირისპირ და არავითარი შანსი არ დაუტოვა ბონანოს. მე-40 წუთზე ჰესკის მიერ დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა ფილიპ კოკუმ, ხოლო 41-ე წუთზე კლიუვერტი ათანაბრებს ანგარიშს. მეორე ნახევრის მე-60 წუთზე ოუენმა ვერ გამოიყენა კარის აღების კარგი შესაძლებლობა. 65-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა როშემბაკმა წინ გაიყვანა სტუმრები. შეხვედრის დასასრულს კი ოვერმარსმა მესამედ შეარხია მასპინძელთა კარის ბადე. საბოლოოდ 3-1 ბარსელონას სასარგებლოდ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 | 0 |


ლივერპული – ბარსელონა

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი – პორტუ 0-0

***პანათინაიკოსი:*** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, მიჰაელსენი (ლიბეროპოლუსი 70), კირგიაკოსი, ფისასი, პაულუ სოუზა (კოლკა 80), კარაგუნისი, ბასინასი, კონსტანტინუ, ოლისადებე (ვლაოვიჩი 80).

***პორტუ:*** სანტუში, კარვალიუ, პარედესი, კოშტინია, დეკუ, ანდრადე, იბარა, კაპუშუ, კლეიტონი (სოდერსტრიომი 78), მაგალიაეში, პენია (სილვა 88).


პანათინაიკოსი – პორტუ

### სპარტა – რეალი 2-3

***სპარტა:*** ჩეჰი, ლაბანტი, ჰაშეკი (სლონციკი 71), ფლაჩბარტი, ნოვოტნი, კინჩლი, მიხალიკი (ზელენკა 52), ჰარტიგი (პაპოუსეკი 78), სიონკო, ჰიუბშმანი, იაროსიკი.

***რეალი:*** კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, ელგერა, მაკელელე, ზიდანი, რაული, მორიენტესი (მაკმანამანი 85), ფიგუ (გუტი 89), პავონი.

***გოლები:*** 0-1 ზიდანი (20), 1-1 მიხალიკი (30), 1-2 მორიენტესი (36), 2-2 სიონკო (72), 2-3 მორიენტესი (74).

ანგარიში შეხვედრის მე-20 წუთზე გახსნა ზინედინ ზიდანმა, რომელმაც საჯარიმოს ფარგლებიდან უძლიერესი დარტყმით აიღო ჩეჰის კარი. 30-ე წუთზე მიხალიკი ათანაბრებს ანგარიშს, მაგრამ ექვსიოდე წუთის შემდეგ რეალი ისევ გადის წინ მორიენტესის გოლის წყალობით. მეორე ნახევრის 72-ე წუთზე სიონკოს უძლიერესი დარტყმის შემდეგ ანგარიში ისევ თანაბრდება, ხოლო ორიოდე წუთის შემდეგ რობერტო კარლოსის დარტყმა მოიგერია სპარტას მეკარემ, მაგრამ დამატებაზე ყველას დაასწრო მორიენტესმა და გამარჯვების გოლი გაიტანა „სპარტას“ კარში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| პორტუ | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| სპარტა | 1 | 0 | 0 | 1 | 2-3 | 0 |

## D ჯგუფი

### დეპორტივო – არსენალი 2-0

***დეპორტივო:*** მოლინა, რომერო, ნაიბეტი, მაურო სილვა, სკალონი, ემერსონი, დონატო, ვალერონი (ჯალმინია 73), ვიქტორი, დიეგო ტრისტანი (ამავისკა 29), მაკაი (პანდიანი 49).

***არსენალი:*** რაიტი (ტეილორი 46), კოული, აპსონი, კემპბელი, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი, ლორენი, ვან ბრონკჰორსტი (ედუ 78), ვილტორდი (კანუ 73), ანრი.

***გოლები:*** მაკაი (9), დიეგო ტრისტანი (25).

პირველი ბურთი ამ შეხვედრაში გაიტანა როი მაკაიმ, რომელმაც საჯარიმოს ფარგლებს გარედან უძლიერესი დარტყმით აიღო რაიტის კარი, ხოლო 25-ე წუთზე დიეგო ტრისტანის დარტყმის შემდეგ შეცდა ინგლისელთა მეკარე და ანგარიში გახდა 2-0. მეორე ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა.

***იუვენტუსი – ბაიერის*** შეხვედრა გადაიდო ძლიერი ნისლის გამო და გაიმართება 28 ნოემბერს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| იუვენტუსი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| ბაიერი | 0 | 0 | 0 | 0 | 0-0 | 0 |
| არსენალი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |

# უეფას თასი

## 1/16 ფინალი

### (პირველი შეხვედრები)

### ჰაპოელი – ლოკომოტივი 2-1

***ჰაპოელი:*** ელიმელეხი, ბაჰარი (ჰილელი 90), გერშონი, დომბი, ანტები, აბუკსისი, ჰალმაო, ონიშენკო (ბალილი 84), ტომა (ლუცი 65), ოსტერცი, კლეშენკო.

***ლოკომოტივი:*** ნიგმატულინი, იგნაშევიჩი, ჩერევჩენკო, სენიკოვი, ობრადოვიჩი, ლეკჰეტო, მამინოვი, იზმაილოვი, პიმენოვი (სარქისიანი 84), ლოსკოვი, ობიორა.

***გოლები:*** 1-0 ოსტერცი (42), 1-1 იზმაილოვი (56), 2-1 დომბი (90).

### ბორდო – როდა 1-0

მირანდა (49).


ბორდო – რომა

# გუსევი ცსკა-ში

გუშინ, მოსკოვის „დინამოს“ ნახევარმცველმა როლან გუსევმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მოსკოვის „ცსკა“-სთან. „საბოლოო გადაწყვეტილება მოსკოვის ცსკა-ში გადასვლასთან დაკავშირებით, მივიღე მას შემდეგ, რაც ამ გუნდის სათავეში მოვიდა ვალერი გაზაევი“ – განაცხადა გუსევმა. ცსკა-სთან კონტრაქტი გააფორმა აგრეთვე „დინამოელმა“ დეივიდას შემბერასმა.


ავსტრალია – ურუგვაი 1-0

მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში (პლეი ოფი)

# დავით ყიფიანი. მხიარული გენერალი ნაღვლიანი თვალებით

**1998 წლის იანვრის ბოლოს, მე შევხვდი დავით ყიფიანს ცსკ-ას დათოვლილი საფეხბურთო მანეჟის სამსახურებრივ შესასვლელთან. გამიკვირდა თუ რატომ არ რჩებოდა იგი თანამეგობრობის თასის საზეიმო გახსნაზე და საღამოს მატჩზე მოსკოვის „სპარტაკის“ მონაწილეობით.**

**— ლონია, უბედურება მოხდა, ახალკაცი გარდაიცვალა — უღონოდ გაშალა ხელები ყიფიანმა.**

**— ჭკუიდან გადახვალ, კაცი თბილისიდან მოსკოვში ჩამოფრინდა ტურნირზე და აეროპორტიდან აქეთ მომავალს, გული გაუჩერდა. რა ვქნა, ახლა მე ფეხბურთისთვის არ მცალია, გესმის?**

**თამაშზე წასვლა მეც აღარ მომინდა: ნოდარს მე დიდი ხანია ვიცნობდი და მუდამ ვგრძნობდი, რომ ჩვენ ერთმანეთის მიმართ განვიცდიდით პატივისცემას და სიმპათიას. გულწრფელად თანავუგრძნე ყიფიანს, რომელსაც ცრემლები ჩასდგომოდა თვალებში. მე მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ გავიდოდა სულ რაღაც ორწელიწადნახევარი და საჭესთან მჯდომს, მაგრამ არა ლენინგრადის გზატკეცილზე, არამედ ქუთაისიდან თბილისში მიმავალ გზაზე, თვით დათოს უღალატებდა გული.**

## პირველი ვიოლინო

ფეხბურთის ძველ ქომაგებს, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, არ სჭირდებათ განმარტება თუ რას ნიშნავდა მათთვის დავით ყიფიანი: ისინი გლოვობენ ჩემთან ერთად, მათ კი, ვინც ფეხბურთს მხოლოდ ზერელედ იცნობს, უნდა ვუთხრა — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ყიფიანი იგივეა საქართველოსთვის, რაც პელე — ბრაზილიისთვის, კრუიფი — ჰოლანდიისთვის, მარადონა — არგენტინისთვის და, ბოლოს, იაშინი — რუსეთისთვის.

იაშინი და ყიფიანი სხვადასხვა დროს თამაშობდნენ — ორივე სსრ კავშირის პირველობაში. მაშინ აზრადაც არავის მოსვლია იგი შეედარებინა თავისი დონით და ვნებებით, ინგლისელ, გერმანელ, ფრანგ თუ იტალიელი ფეხბურთელებისთვის. იმიტომ, რომ უცხოელებს ნაკლებად ვიცნობდით, ჩვენი ჩემპიონატით ვიყავით გაჯერებულნი. ეს ეხებოდა არა მხოლოდ კლუბებს, არამედ ბომბარდირებს, მწვრთნელებს, კლუბებს, მოსკოვის, უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის, [illegible]ტვის საფეხბურთო კლუბებს.

სტაჟიანი გულშემატკივრები, ვფიქრობ, დამადასტურებენ და ახალგაზრდები სიტყვაზე მენდობიან თუ ვიტყვი, რომ „ინტერი“, „იუვენტუსი“ და „რომა“ თავიანთი განსხვავებული ტაქტიკით და თამაშის მანერით, „სპარტაკის“, კიევის „დინამოს“, თბილისის „დინამოს“ და სხვა ყოფილი საბჭოთა გუნდების ტყუპისცალები არიან, რომელთაც გააჩნდათ ინდივიდუალური ხელწერა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა.

მაგრამ ყველაზე გამორჩეული, ყველა დროში, მაინც თბილისის „დინამო“ რჩებოდა. მის განუმეორებელ ხელწერაში ერთდროულად იკითხებოდა ბრაზილიური, ესპანური, იტალიური და ფრანგული ფეხბურთისთვის დამახასიათებელი თვისებები. ამასთან, თბილისის „დინამოში“ მთელი მისი არსებობის მანძილზე (იშვიათი გამონაკლისის გარდა), მხოლოდ ქართულ გვარებს შეხვდებით. და ისინი მუდამ მრავლად იყვნენ. როგორი ტალანტი და შრომისმოყვარეობა უნდა ჰქონოდა დავით ყიფიანს, რომ არა მხოლოდ, უბრალოდ, გაეძლო ნიჭიერ თანამემამულეთა კონკურენციისთვის, რომლითაც მუდამ იყო მდიდარი საქართველო, არამედ გამხდარიყო პირველი ვიოლინო ვარსკვლავთა ორკესტრში.

## ჩაშლილი იმპროვიზაცია

ახლა თქვენ ადვილად მიხვდებით, როგორ მხურვალე სიყვარულს განიცდიდნენ საქართველოს მცხოვრებნი დავით ყიფიანისადმი. მაგალითი თვალწინ მაქვს. ერთხელ, მოსკოვის „სპარტაკის“ მცველ გენადი ლოგოფეტთან ერთად, თბილისში გავატარეთ დასვენების დღე დავით ყიფიანის კამპანიაში. შედგენილი გვქონდა კულტურული პროგრამა: ა) ფილარმონია, სადაც გამოდიოდა ცნობილი ჯაზმენი ლეონიდ ჩიჟიკი, ბ) საუბარი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან იდეოლოგიის დარგში, საქართველოში ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით. პროგრამა 50 პროცენტით შევასრულეთ. ის იყო შევაბიჯეთ ფილარმონიაში, რომ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, უმალვე ჩვენთან გაჩნდა დირექტორი: „თუ ძვირფასი დათო და მისი მოსკოველი სტუმრები ჩემთან კაბინეტში არ შემოვლენ, ძალიან ნაწყენი დავრჩები“ — თქვა. მან, შეგვახსენა რა პოპულარული პერსონაჟი „კავკასიელი ტყვე ქალიდან“, კაბინეტში ფეხდაფეხ შემოგვყვა ოფიციანტი შამპანურის ყუთით (!). როცა „რამდენადმე დაგვიანებით“ მაინც მოვხვდით მაყურებელთა დარბაზში, ისეთმა ტაშმა იქუხა, რომ ჩიჟოვის იმპროვიზაცია ჩაახშო. პიანისტმა პუბლიკას გადახედა და გახევდა: სცენისკენ უკვე აღარავინ იცქირებოდა, ყველას მზერა ყიფიანისკენ იყო მიპყრობილი.

ცკა-ს მდივანთან შეხვედრა, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, არ შედგა. ვისხედით რა ქალაქგარეთ კავკასიურ სუფრასთან, მდივანმა წარმოთქვა 30-მდე ტრადიციული ქართული სადღეგრძელო. ფეხბურთზე საუბარს კი „მელოტი გენერლის“ (ასე უწოდეს ინგლისელებმა დათო ყიფიანს) მოერიდა. დათო მხოლოდ პარტიის ლიდერის მრავალ შეკითხვას პასუხობდა, ცკა-ს მდივანს სუნთქვა ეკვრებოდა საფეხბურთო ლიდერის ყოველ სიტყვაზე.

თხრობა კი ყიფიანს კარგად ეხერხებოდა. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ ავსტრალიაში ყოფნისას, სადაც თბილისის დინამოელები მოსკოველებთან ერთად ჩავიდნენ, სასტუმროს საცურაო აუზში დათო უმწეოდ იქნევდა ხელებს და იძირებოდა. ბიჭებმა იფიქრეს, რომ ეს იყო დილის ანცობა. სიტუაცია რომ სახუმარო არ იყო, პირველი მანუჩარ მაჩაიძე მიხვდა. ყიფიანი მან გადაარჩინა. საღამოს კი — არ დაიჯერებთ! — თბილისელთა კაპიტანს მოსკოველი თანაკლუბელის ალექსეი პეტრუშინის გადასარჩენად მოუხდა ჩაყვინთვა.

— აი, მედალი „წყალწაღებულთა გადარჩენისთვის“ მანოს დღემდე არ მიუღია. მხოლოდ იმიტომ, რომ სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ გადაგვარჩინა, — გაიცინა მაშინ ყიფიანმა.

## მონოლოგი

დათო ნებისმიერ კომპანიას დირიჟორობდა, რჩებოდა რა მისი სულად და გულად პირველიდან ბოლო სადღეგრძელომდე, ისევე დახელოვნებულად, როგორც თამაშის დროს პარტნიორებთან.

„... ჰოლანდიელი კრუიფი თავისი გარეგნული ზვირთით, მაგრამ შინაგანად დასაბუთებული და მკაცრი თამაშით, სურვილს აღუძრავდა მისთვის მიებაძა“, — წერდა ლევ ფილატოვი, — მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი „მონოლოგი“ ცოტას თუ ვინმეს აძლევდა შანსს. მთელ მინდორზე გადაადგილება მხოლოდ ერთი ნიშან-თვისებაა. მთავარი იყო მოთამაშის განსაცვიფრებელი ცოდნა იმისა, რაც ხდებოდა მინდორზე და უნარი, გაეკეთებინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო. ყიფიანი აღმოჩნდა იმ ერთეულთა შორის, ვინც არა მხოლოდ ჩვენში, არამედ მსოფლიო ფეხბურთში შეძლო შეეთავაზებინა „მონოლოგის“ საკუთარი ვარიანტი... ყიფიანი არავის ბაძავდა, ის თავისით მივიდა იმ აზრამდე, რომ შეეძლო ფეხბურთის გათანამედროვება, გამდიდრება, წინ წაეწია თავისი კლუბის თამაში. და მისი პოზიციის ამოსავლად იქცა მინდვრის შუა ნაწილი...“ დიახ, დათო გულუხვი იყო მოკლე პასებში. გრძელ გადაცემებს მოძრაობაში და ზუსტად თბილისელთა მეათე ნომერი ხომ იუველირულად ასრულებდა. გარდა ამისა, რაც იშვიათია, მას ჰქონდა ჭეშმარიტი ბომბარდირის თვისებები: 115 ბურთით ტყუილუბრალოდ ხომ არ მოხვდებოდა გრიგორი ფედოტოვის კლუბში. თანაც გოლები გაჰქონდა ისევე მოხდენილად და ლაღი მანერით, როგორც გადაცემებს აკეთებდა. გოლები კი იყო ნებისმიერი გემოვნების, ისეთებიც, ფეხბურთის ყველაზე შარიან გურმანებსაც რომ მოსწონდათ.

მე ეს არასდროს მაკვირვებდა, რადგან დათომ ჯერ კიდევ ჩვენი ადრეული ნაცნობობისას აღიარა, რომ ბავშვობაში თბილისის „დინამოს“ მარცხენა გარემარბისთვის მიხეილ მესხისთვის ცდილობდა მიებაძა. ის კი არა, ფორვარდის კარიერა მარცხენა ფრთაზე თამაშით დაიწყო. ამასთან, ძალიან ნანობდა, რომ ხალხის საყვარელმა ფეხბურთელმა ძალიან ადრე, 32 წლისამ დაასრულა დიდ ფეხბურთში გამოსვლა. ცხადია, დათო მაშინ ვერ იფიქრებდა, რომ ტრავმის გამო მასაც 31 წლის ასაკში მოუწევდა ბუცების ჩამოკიდება ლურსმანზე.



## საუკეთესო ქვეყანაში

27 წლისა, იგი ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ეს ზუსტად ის სეზონი იყო, როცა მილანში, „სან-სიროს“ სტადიონზე დათომ გამარჯვების ერთადერთი გოლი გაიტანა „ინტერის“ კარში. — ძალიან კარგად მახსოვს, როგორ მოხდა ეს, — ჰყვება გენადი ლოგოფეტი, რომელიც მატჩს ესწრებოდა. — „ინტერის“ გამოცდილი მცველი ფაკეტი საჯარიმო ხაზის წინ ბურთს ფლობდა, ყიფიანმა მას „მოჰპარა“ ბურთი, გავიდა მეკარესთან პირისპირ და მშვიდად გაგზავნა ბადეში. თავად მითამაშია დათოს წინააღმდეგ. ჭკვიანი, დახვეწილი ფეხბურთელი იყო. ასეთნაირებთან გამკლავება უჭირთ მცველებს. 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ვლადიმირ ფედოტოვთან ერთად, შევეცადეთ დაგვერწმუნებინა კონსტანტინ ივანეს ძე ბესკოვი თუნდაც ერთხელ, თუნდაც ამხანაგურ მატჩში მოესინჯა ყიფიანგავრილოვის დისპეტჩერული ტანდემი, ვფიქრობდით, რომ ნაკრების ტვინის პოტენციალი ორმაგად გაიზრდებოდა. მაგრამ ბესკოვმა ჩათვალა, რომ ერთი და იგივე გეზის ორი მოთამაშე — ძალზე დიდი ფუფუნებაა გუნდისთვის (ამ მოსაზრებაში კაჩალინს ვალერი ლობანოვსკიც ეთანხმებოდა). უპირატესობა მისცეს გავრილოვს.

სხვათა შორის, როგორც 20 წლის წინათ, ისე დღესაც, ბესკოვი ყიფიანის ნიჭს დიდად აფასებდა და აფასებს:

— ეს ძალიან დიდი ფეხბურთელი და ძალიან კარგი ადამიანია. ერუდირებული, ინგლისურად დიდებულად მოსაუბრე. მას შემდეგ, რაც ყიფიანმა მინდორი დატოვა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაგრამ მისნაირი ფეხბურთელების გარეშე, საფეხბურთო გუნდი წარმოუდგენელია. ეს-ესაა თბილისის „დინამოში“ დეპეშა გავაგზავნე, სამძიმარი გამოვუცხადე მისი მშობლიური კლუბის თანამშრომლებს. გულწრფელად ვწუხვარ, რომ როგორც მწვრთნელმა ბოლომდე ვერ თქვა თავისი სიტყვა.

დათო არაერთხელ გამოსულა მინდორზე ბესკოვის და ლობანოვსკის ნაკრებში კიევის „დინამოს“ ნახევარმცველ ***ლეონიდ ბურიაკთან*** ერთად.

— დათოსთან ერთად თამაში ტკბობა იყო, — იგონებს ბურიაკი, — ნამდვილი ოსტატი იყო, ჩვენ ერთმანეთის ნახევარსიტყვით გვესმოდა. ცხადია, მისთვის იოლი არ იყო ლობანოვსკისთან ვარჯიში. იქ სულ სხვა სამუშაო დახვდა, ვიდრე ამას დათო იყო შეჩვეული. მაგრამ კბილებს კრავდა და ბოლომდე იხარჯებოდა, თავის თავს სჯობნიდა. ის ჩემი მეგობარი იყო და მენდეთ სიტყვაზე, ის იყო ოქროს ბიჭი. და მე კიევში, თბილისში კი დასთან სტუმრობისას, საერთოდ, სადაც უნდა შევხვედროდით, მუდამ მხიარულობდა, წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მხოლოდ თვალები ჰქონდა ნაღვლიანი. ჩემს მიმართ კი ხუმრობდა: „შენ ყველაზე ტექნიკური მოთამაშე ხარ [illegible] სულენოვან მოსახლეობაში, რომელიც ამ კომპონენტში ტოლს არ გვიდებთ, თუნდაც ჩვენ, „იტალიელებს“... მთელი ღამე არ მიძინია და ვფიქრობდი, რატომაა ასე უსამართლოდ ცხოვრება მოწყობილი, ასე ადრე რატომ წყდება იგი ისეთი ბიჭებისთვის, როგორიც იყო დათო.

მინსკელ ***ვადიმ ჟუკს***, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს, არაერთი მატჩი უმსაჯია თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით, ყიფიანის როგორც ფეხბურთელობის, ისე მწვრთნელობის დროს:

— ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი კლასისა იყო ეს ფეხბურთელი. მინდა აღვნიშნო მისი დამოკიდებულება მსაჯებისადმი, პარტნიორებისა და მეტოქისადმი, რაც მუდამ ვლინდებოდა კორექტურობასა და თავდაჭერაში. ყიფიანი იყო კარგად აღზრდილი პიროვნება. მის წინააღმდეგ იშვიათად მიმართავდნენ სანქციებს. ჩემს მეხსიერებაში ვერ ვიხსენებ ფაქტს, რომ მას უხეშობაზე უხეშობით ეპასუხა. ის მეტოქეს მხოლოდ გოლებით სჯიდა. არასდროს მიჩვენებია ყიფიანისთვის წითელი ბარათი, ყვითელი ბარათიც კი არ მახსენდება.

## ჩივაძის ცრემლები

დიდხანს ვერ გადამეწყვიტა დამერეკა თბილისში, იმიტომ რომ კარგად მესმოდა დათოს მეგობრებიდან, ვისთან ერთადაც ის მხარდამხარ იბრძოდა გამარჯვებისთვის, ვერავინ შეძლებდა რაიმე ეთქვა. და მართლაც, როცა მე დავრეკე ***მურთაზ ხურცილავასთან***, ყურმილში ქვითინი ჩამესმა... ***ალექსანდრე ჩივაძეც***, ვიდრე ამაღელვებელ მონოლოგს დაიწყებდა, ღრმად ამოისუნთქა და აღიარა, რომ მას ლოყაზე ცრემლები ჩამოსდიოდა:

— ჩვენ დავკარგეთ ადამიანი, რომელთანაც დაკავშირებულია თბილისის „დინამოს“ ყველა წარმატება. მაგრამ დათო უდიდესი მხოლოდ ამით არ ყოფილა. რითაც ლამაზია ფეხბურთი, რისთვისაც ხალხი დადის თამაშის სანახავად, — ყველაფერი ეს იყო ყიფიანში. არ მეგულება ქალაქი, სადაც მას არ ჰყავდა გულმხურვალე თაყვანისმცემლები: ის უყვარდათ, როგორც თავისიანი მოსკოვშიც, კიევშიც, ტაშკენტშიც და ევროპაშიც... ყიფიანი ხომ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის სიამაყე იყო.

— დათოს თამაშის მანერას კრუიფისას ადარებენ, — გააგრძელა ჩივაძემ. — მართებულია ეს შედარება. სიტყვამ მოიტანა და, კრუიფი მისთვის იყო კერპი. მახსოვს, 1974 წელს, გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატის დროს ყიფიანი ტრავმირებული იყო და ის წავიდა უჟგოროდში იმისთვის, რომ ამ ქალაქში შეიძლებოდა ჩემპიონატის ყველა მატჩის ხილვა ტელევიზიით. მან შენიშნა, რომ კრუიფი მინდორზე არსებითად იყო, როგორც მოთამაშე-მწვრთნელი. შემდეგ მან თავად აიღო თავის თავზე ეს მძიმე ტვირთი. ვერც კი გამოვყოფ თუნდაც ერთ მატჩს — მას არ ჰქონია არც ერთი ჩავარდნილი თამაში. ჰქონდა მხოლოდ ბრწყინვალე მატჩები, ისეთები, როგორიც „ფეიენოორდთან“, „ვესტ-ჰემთან“, „კარლ-ცაისთან“, როცა 1981-ში თასების თასი მოვიგეთ“...

და მე ისევ ვიხსენებ, როგორ შევხვდი ყიფიანს ახალკაცის გარდაცვალების დღეს. იმაში, რომ ასეთი ფეხბურთელი დადგა, დიდად იყო დავალებული ნოდარ ახალკაცისგან, რომელიც 1976 წელს მივიდა თბილისის „დინამოში“ და ნახა მისთვის თავდამსხმელის ადგილი. ისინი ადრეც ერთად მუშაობდნენ ერთ გუნდში, ოღონდ, თბილისის „ლოკომოტივში“. უკვე მაშინ, ყიფიანი ახალკაცზე ამბობდა: „ეს ჩემი მასწავლებელია, ჩემი მეორე მამაა“.

საშინელებაა იმის წარმოდგენა, რომ ჩვენს შორის უკვე აღარ არის არც მასწავლებელი და არც მისი ყველაზე გამოჩენილი შეგირდი...

დათო, ალბათ, ნამდვილად შეცბუნდებოდა ეს სტრიქონები რომ წაეკითხა, ისე როგორც ერთხელ შეცბუნდა, როცა გაკვირვებულმა შეიტყო ერთ-ერთი გაზეთიდან, რომ ისე კარგად ფლობს ინგლისურს, შექსპირს ორიგინალში კითხულობს. მეორე დღეს მე დამირეკა და მთხოვა:

— დაწერე, თუ შეიძლება, რომ „ჰამლეტიც“, „რომეო და ჯულიეტაც“ და „მეფე ლირიც“ ნამდვილად წამიკითხავს, მაგრამ მხოლოდ ქართული ან რუსული ვარიანტი. დაძლიოს შექსპირის ურთულესი ენა, თვით ინგლისელებშიც ბევრს არ ძალუძს“.

მე მოკრძალებულად დავწერე: იმიტომ, რომ მას არ სჭირდებოდა ზედმეტი დიდება — ეს ისედაც საკმაოზე მეტი გააჩნდა. ყიფიანი ხომ ისეთ უდიდეს და მრავალეროვან ქვეყანაში, როგორიც იყო საბჭოთა კავშირი, საყოველთაო სიყვარულით გარემოსილი იყო.

თუმცა, რატომ იყო...

**ლეონიდ ტრახტენბერგი,**
გაზეთი „სპორტ გლობუსი“.
გვ. 464. ისრაელი.

# ნბა

NBA

**ინდიანა – ატლანტა 106-102**
*ინდიანა:* ტინსლი (29+11 გადაცემა), მილერი (22), როუზი (18), ო,ნილი (16+9 მოხსნა).
*ატლანტა:* ტერი (35), აბდულ-რახიმი (24+14 მოხსნა), დევისი (16).

**ტორონტო – დეტროიტი 84:88**
*ტორონტო:* კარტერი (28), უილიამსი (15), ოლაჯიუვონი (14+20 მოხსნა), მიურეი (11).
*დეტროიტი:* რობინსონი (22), სტეკჰაუსი (19), ულესი (13+13 მოხსნა), რებრაჩა (10).

**მაიამი – მინესოტა 73:80**
*მაიამი:* ელისი (17), ჰაუსი (17), ჯონსი (12), მარკსი (11+11 მოხსნა), სტეფანია (11+12 მოხსნა).
*მინესოტა:* შერბიაკი (22), ბრენდონი (19), ნესტეროვიჩი (16+10 მოხსნა), გარნეტი (10+16 მოხსნა).

**ვაშინგტონი – შარლოტი 88:95**
*ვაშინგტონი:* ჯორდანი (30), ჰ. დევისი (18), ჰამილტონი (10).
*შარლოტი:* ბ. დევისი (32), ნეილონი (18), კემპბელი (15), ოუკმონი (12).

**დალასი – სიეტლი 97:105**
*დალასი:* ფინლი (26), ნეში (25), ნოვიცკი (14), ჰოვარდი (12+13 მოხსნა), გრიფინი (12).
*სიეტლი:* პეიტონი (25+10 გადაცემა), ბუტი (24), მეისონი (20), დრობნიაკი (10).

**პორტლენდი – ჰიუსტონი 87:94**
*პორტლენდი:* უელსი (28), ანდერსონი (12), პატერსონი (11), ულესი (10+10 მოხსნა).
*ჰიუსტონი:* უილიამსი (31), რაისი (14), ფრენსისი (12+9 მოხსნა).

**გოლდენ სტეიტი – ნიუ იორკი 70:94**
*გოლდენ სტეიტი:* ჯეიმისონი (12), სურა (11).
*ნიუ-იორკი:* სპრიუელი (29), ჰარინგტონი (14), ჰიუსტონი (13), ტომასი (10).

**კლიპერსი – ლეიკერსი 93:98**
*კლიპერსი:* ბრენდი (22+19 მოხსნა), მაილსი (16); რუკსი (16), რიჩარდსონი (13).
*ლეიკერსი:* ბრაიანტი (25+12 გადაცემა), ო'ნილი (22+11 მოხსნა), უოკერი (13), ფოქსი (10).










*21 ნოემბერი*
ბოსტონი — ატლანტა 85:92; ფილადელფია — დეტროიტი 94:89; შარლოტი — დალასი 78:89; კლივლენდი — მემფისი 101:94; ორლანდო — მინესოტა 117:106; მილუოკი — ჩიკაგო 96:92; სან ანტონიო — სიეტლი 110:93; დენვერი — ლეიკერსი 68:89; იუტა — ნიუ ჯერსი 89:90 (დ.დ.); ფინიქსი — ნიუ იორკი 96:72; საკრამენტო — პორტლენდი 95:83.

## კალათბურთი ● ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

### A ჯგუფი

თურქეთი — ბულგარეთი 84:79
ლიტვა — ჰოლანდია 95:73
უკრაინა — შვეიცარია 69:62

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 1 | 1 | 0 | 95-73 | 2 |
| უკრაინა | 1 | 1 | 0 | 69-62 | 2 |
| თურქეთი | 1 | 1 | 0 | 84-79 | 2 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 | 79-84 | 1 |
| შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 62-69 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 1 | 73-95 | 1 |

### B ჯგუფი

საბერძნეთი — ბელგია 88:49
ესპანეთი — რუმინეთი 90:52
ისრაელი — დანია 89:78

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 1 | 1 | 0 | 88-49 | 2 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 90-52 | 2 |
| ისრაელი | 1 | 1 | 0 | 89-78 | 2 |
| დანია | 1 | 0 | 1 | 78-89 | 1 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 1 | 52-90 | 1 |
| ბელგია | 1 | 0 | 1 | 49-88 | 1 |

### C ჯგუფი

ბოსნია — კვიპროსი 92:53
ხორვატია — მაკედონია 91:72
გერმანია — ირლანდია 85:77

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბოსნია | 1 | 1 | 0 | 92-53 | 2 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 | 91-72 | 2 |
| გერმანია | 1 | 1 | 0 | 85-77 | 2 |
| ირლანდია | 1 | 0 | 1 | 77-85 | 1 |
| მაკედონია | 1 | 0 | 1 | 72-91 | 1 |
| კვიპროსი | 1 | 0 | 1 | 53-92 | 1 |

### D ჯგუფი

ლატვია — პოლონეთი 81:92
ესტონეთი — ბელარუსი 84:56
საფრანგეთი — უნგრეთი 81:73

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ესტონეთი | 1 | 1 | 0 | 84-56 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 92-81 | 2 |
| საფრანგეთი | 1 | 1 | 0 | 81-73 | 2 |
| უნგრეთი | 1 | 0 | 1 | 73-81 | 1 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 | 81-92 | 1 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 1 | 56-84 | 1 |

### E ჯგუფი

რუსეთი — ჩეხეთი 109:78
სლოვენია — პორტუგალია 77:65
იტალია — ინგლისი 99:63

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 1 | 1 | 0 | 99-63 | 2 |
| რუსეთი | 1 | 1 | 0 | 109-78 | 2 |
| სლოვენია | 1 | 1 | 0 | 77-65 | 2 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 | 65-77 | 1 |
| ჩეხეთი | 1 | 0 | 1 | 78-109 | 1 |
| ინგლისი | 1 | 0 | 1 | 63-99 | 1 |

## დევისის თასი



საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა გი ფორჟემ დაასახელა შემადგენლობა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს დევისის თასის ფინალში ავსტრალიელების წინააღმდეგ. ესენი არიან: სებასტიან გროჟანი, არნო კლემანი, ნიკოლია ესკუდე, ფაბრის სანტორო და სედრიკ პიოლინი.

## ტაისონი მერსერს შეხვდება

35 წლის ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი 19 იანვარს 39 წლის რემ მერსერს შეხვდება რიგზე. მომავალ წელს დაგეგმილია აგრეთვე მატჩი ტაისონსა და ლენოქს ლიუისს შორის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის სუპერმძიმე წონაში. როგორც ცნობილია, ლიუისმა, გასულ შაბათს, დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული მატჩ-რევანშის შედეგად ვბც და იბფ-ის ვერსიით, მეოთხე რაუნდში გაგზავნა რა ნოკაუტში ხასიმ რახმანი. ტაისონი ახლა ვბც-ს ვერსიით რეიტინგის სათავეშია, ამიტომ სწორედ ის შეეწინააღმდეგება ლიუისს საფინალო მატჩში. დღემდე მას 52 ბრძოლიდან მოგებული აქვს – 49. ამ 5 კვირის წინათ ტაისონმა დანიელი ბრაიან ნილსონი დაამარცხა.

## თამბაქოს რეკლამა აიკრძალა

საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფია) საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად, 2006 წლიდან საავტომობილო რბოლების ჩემპიონატებში აიკრძალება თამბაქოს ნაწარმის რეკლამა. ამის თაობაზე ფია-ს შტაბბინაში, ჟენევაში, განუცხადეს ჟურნალისტებს. დადგენილება ითვალისწინებს აგრეთვე უარის თქმას იმ სპონსორთა დახმარებაზე, რომლებიც თამბაქოს ნაწარმს ქმნიან.

თამბაქოს მწარმოებლებისგან ბოლო 30 წელიწადში, სოლიდურ მატერიალურ მხარდაჭერას იღებენ, როგორც ცალკეული რბოლები, ისე მრბოლები. ყველაზე დიდ სპონსორულ მხარდაჭერას თამბაქოს მწარმოებლებისგან იღებს „ფორმულა-1“-ის გუნდები და რალში მსოფლიო ჩემპიონატი. საერთო ჯამში ეს თანხა 350 მილიონ დოლარს შეადგენს წელიწადში.

ფორმულა-1

## „პროსტი“ გამოცხადდა ბანკროტად

ვერსალის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება „ფორმულა-1“-ის საჯინიბოს „პროსტ გრან-პრის“ ბანკროტად გამოცხადების შესახებ. ეს საჯინიბო ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ავტომრბოლ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ალენ პროსტს.

ველორბოლა

## არმსტრონგი მამა გახდა

„ტურ დე ფრანსის“ სამგზის გამარჯვებულს ლენს არმსტრონგს შეეძინა ტყუპები – იზაბელ როუზი და გრეის ელიზაბეტი. დედა და შვილები თავს კარგად გრძნობენ.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 ნოემბერი, პარასკევი**
*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.40), *EUROSPORT*. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 1.30, 3.45), სათხილამურო ორჭიდი, მსოფლიო თასი (14.00, 17.00, 2.45), ფეხბურთი. უეფას თასი (15.00), სამთო თხილამურები. მსოფლიო თასი (19.00, 23.00), ტრამპლინიდან ხტომა (21.00, 0.00). *НТВ плюс футбол*. ჩემპიონთა ლიგა: „პანათინაიკოსი“ – „პორტუ“ (14.30), იტალიის (16.15), ინგლისის (0.55) ჩემპიონატების მიმოხილვა. *НТВ плюсспорт*. ნბა-ს მიმოხილვა (11.45, 18.15), კიკბოქსინგი (12.45), სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი (15.45), ტაილანდური კრივი (19.05), ფიგურული სრიალი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.10).

**24 ნოემბერი, შაბათი**
*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: თბილისის „დინამო“ – „ლოკომოტივი“ (14.55). *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 1.30), ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. გადაცემა ფინეთიდან (21.00, 0.00), ცხენოსნობა. მსოფლიო თასი (22.00). *НТВ плюс футбол.* გერმანიის (18.25), ინგლისის (20.25), იტალიის (23.25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა. მეორე ეტაპის პირველი ტურის მიმოხილვა (22.25). *НТВ плюс спорт*. ნბა-ს ჩემპიონატი (11.45, 16.25, 23.30), ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი (18.30), ტაილანდური კრივი (1.15).

**25 ნოემბერი, კვირა**
*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30) *EUROSPORT.* თხილამურები: ტრამპლინიდან ხტომა (11.30), რბენა (13.00, 16.00), ორჭიდი (14.45, 17.00), სამთო თხილამურები (21.00, 23.30). რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.45). *НТВ плюс футбол.* გერმანიის (13.20, 21.50), იტალიის (17.00, 23.30) ჩემპიონატები. ჩემპიონთა ლიგა: ჟურნალი (18.45), ინგლისის ჩემპიონატი: „არსენალი“ – „მანჩესტერი“ (19.55). *НТВ плюс спорт*. ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება გრან-პრი (13.00, 17.30), სოლტ-ლეიკ-სიტის შესახვედრად (23.00).

## კროსვორდი №92



**თარაზულად:** 1. კანადელი პროფესიონალი ჰოკეისტი ბობი... 6. ნიჩბოსნის მთავარი ინვენტარი, 9. მოსკოვის „ტორპედოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, შემდეგ მწვრთნელი, 10. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 11. საფეხბურთო კლუბ „მილანის“ ახლადანიშნული მწვრთნელი, 12. თბილისის საფეხბ. კლუბი 90-იან წლებში, 14. სამხ. აფრიკელი ფეხბურთელი, 16. ძლიერ ხმამაღლა (მუსიკის შესატყვისი), 18. სპორტული შეჯიბრების შედეგი, 19. საბერძნეთის საფეხ. კლუბი, 21. ცნობილი მრბოლი (ფორმულა-1), 23 იტალიის სერია ბ-ს საფეხბ. კლუბი, 25. იტალიის საფეხბ. კლუბი, 26. ნარნარი ფრენა.

**შვეულად:** 2. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 3. კამერუნელი ფეხბურთელი, 4. ინგლისის საფეხბ. კლუბი, 5. „მილანის“ უკრაინელი ლეგიონერი, 7. ჰოლანდიის საფეხბ. კლუბი, 8. ხარების ბრძოლა, 13. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 15. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, ყოფილი მეკარე, 17. „როსტსელმაშის“ საფეხბ. კლუბის ქალაქი, 20. ინგლისელი ფეხბურთელი; 22. პროფესიონალი მოკრივე, 24. კორეელი ფეხბურთელი.

### კროსვორდი №91-ის პასუხები

**თარაზულად:** 6. სო, 7. უნივერსიადა, 8. მური, 9. დეშამი, 10. პრესინგი, 11. უნარი, 13. ინსი, 14. ბალაძე, 17. ნოა, 20. საბონისი, 22. კროსი, 24. ჩემბერლენი, 25. ნარდი.

**შვეულად:** 1. კონსეინსაო, 2. კოე, 3. თასი, 4. „აია“, 5. კრამნიკი, 6. „სარაგოსა“, 12. როა, 15. ანიკინი, 16. ლიბერო, 18. ბრიჯი, 19. დოჩია, 20. სამბო, 21. „ბრედა“, 23. „ოდრა“.

## საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე
(ზესტაფონი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ლh1 1. ...fg 2. ლ:g2X.
1. ...g3 2. gfX. 1. ...e1 – 2. ლ:e1X.
1. ...d2 2. ლb1X. 1. ...f4 2. ლh7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, 8. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილ . ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.